სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი #3

ქ. თბილისი 2024 წლის 18 მარტი

**სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:**

1.ნაზირა კაკულია 2. მიხეილ ჩიკვილაძე 3. ნინო ფარესაშვილი 4. მარინა მაისურაძე 5. ელენე გაჩეჩილაძე 6. ლია მაჭავარიანი 7. ნათელა არჩვაძე 8. ამირან ბიბილაშვილი 9. მარიამ ახალკაციშვილი 10. ვასილ ბერიძე 11. მარინა გარიშვილი 12. მაია ივანიძე 13. თამარ ჯინჭარაძე 14. ხათუნა მაისაშვილი 15. კახა კუჭუხიძე 16. იზაბელა პეტრიაშვილი 17. ვლადიმერ მარგველაშვილი 18. თინა ქიტუაშვილი 19. გიორგი პატარაია 20. კახაბერ ლორია 21. ანასტასია ზაქარიაძე 22. ელისაბედ ბჟალავა 23. მანანა რუსიეშვილი 24. თეა ქარჩავა 25. ლერი თავაძე 26. ნიკოლოზ ჯავახიშვილი 27. ინგა სანიკიძე 28. გიორგი არქანია 29. გიორგი ლაბაძე 30. ლუკა მამალაშვილი 31. ზურაბ გაიპარაშვილი 32. ნინო პავლიაშვილი 33. ციური სუმბაძე 34. სოფიო ხუციშვილი 35. ლალი ახალბედაშვილი 36. ადა ნემსაძე 37. თამილა ჩალაძე 38. გიორგი მამარდაშვილი 39. მანანა ნიკოლაიშვილი 40. მარინა გურგენიშვილი 41. მარინე ხუციშვილი 42. ნოდარ ლომიძე (დანართი 1)

**სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები:**1. ჯაბა სამუშია 2. ნიკოლოზ ავაზაშვილი 3. ნათელა ანანიაშვილი 4. მიხეილ ბახტაძე 5. ცისანა გავაშელი 6. ვასილ გონაშვილი 7. მარინე ზაუტაშვილი 8. მაია კოპალეიშვილი 9. ალექსანდრე კუხიანიძე 10. გია ლობჟანიძე 11. ნინო მინდაძე 12. ავთანდილ სილაგაძე 13. გოჩა ფერაძე 14. ომარ ფურთუხია 15. თამაზ ყარალაშვილი 16. მორის შალიკაშვილი 17. რევაზ შანიძე 18. ნინო შარაშიძე 19. თემურ შენგელია 20. მარინე ჩიტაშვილი 21. მარი წერეთელი 22. ეთერ ხარაიშვილი 23. მანანა ხაჩიძე 24. მამუკა ხუსკივაძე (დანართი 2)

**დღის წესრიგი:**

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ (მომხსენებელი: მაია ჩიღვინაძე);

2. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცების შესახებ (მომხსენებელი: ნინო პავლიაშვილი);

3. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ (მომხსენებელი: იოსებ სოფრომაძე);

4. "სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2024 წლის 22 თებერვლის №29/2024 დადგენილების დამტკიცების შესახებ (მომხსენებელი: არჩილ კუკულავა);

5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის ანგარიშის მოსმენის შესახებ (მომხსენებელი: მზექალა აჭაიძე);

6. წარმომადგენლობითის საბჭოს წევრის, აკადემიური პერსონალის - ლერი თავაძისა და სენატის წევრ სტუდენტთა მიერ წარმოდგენილი ინიციატივის, აკადემიური საბჭოს მონაწილეობით ხელახალი განხილვისა და მიზანშეწონილებიდან გამომდინარე, შესაბამისი კომისიის შექმნის შესახებ (მომხსენებელი: ვლადიმერ მარგველაშვილი).

7. "სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებ"-ში ცვლილების შეტანის შესახებ (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე)

8. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგასთან დაკავშირებით დასკვნის (რეკომენდაციის) მომზადების მიზნით თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის 11 იანვრის #2/02-01 ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისიის მუშაობის შედეგების შესახებ (მომხსენებელი: კომისიის/სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე - ზურაბ გაიპარაშვილი).

**დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად;**

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვამდე, აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს სიტყვით მიმართა უნივერსიტეტის რექტორმა, ჯაბა სამუშიამ და კიდევ ერთხელ მიმოიხილა დაგეგმილი, განხორციელებული და მომავალში განსახორციელებელი მნიშვნელოვანი პროექტები. ხაზი გაუსვა, სტუდენტური პროექტებისათვის ბიუჯეტის ზრდის საკითხს. აღნიშნა, რომ მომავალში ეს თანხა კიდევ

უფრო გაიზრდება და მოუწოდა სტუდენტებს მაქსიმალურად გამოიყენონ ეს შესაძლებლობა. რექტორმა ასევე ისაუბრა, სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის მშენებლობის საკითხზე და აღნიშნა, რომ საპროექტო-სამშენებლო დოკუმენტაციის მომზადების საკითხი ბოლო ფაზაშია, აქტიურად მიმდინარეობს თანამშრომლობა მერიის შესაბამის სამსახურებთან, რათა დროულად იქნეს აღმოფხვრილი ის მცირე ხარვეზი, რაც დადგენილი იქნა და ამის შემდეგ დაიწყება შესაბამისი სამშენებლო სამუშაოები. ისაუბრა თსუ-ს 1-ელ კორპუსში კვების ობიექტის მოწყობის ინიციატივაზე და თსუს-ს მაღლივ კორპუსში არსებული კვების ობიექტის ეფექტიანად ფუნქციონირებაზე. თსუ-ს რექტორმა მოახსენა სხდომას ახალი სახელმძღვანელობის შექმნის, თარგმნის და ძველის მოდიფიცირების საკითხზე და აღნიშნა, რომ ამ მიზნით აკადემიური საბჭოს მიერ შექმნილია სპეციალური კომისია, აკადემიური საბჭოს წევრის, მარინე ჩიტაშვილის ხელმძღვანელობით. აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით ბიუჯეტით გამოყოფილია 300.000 ლარის ოდენობით თანხა. ასევე, კმაყოფილებით აღნიშნა, რომ პროექტით უკვე დაინტერესდნენ სტუდენტები და კიდევ ერთხელ მოუწოდა საკითხით დაინტერესებულ ყველა პირს, მაქსიმალური ჩართულობისაკენ. თსუ -ს რექტორმა ასევე ისაუბრა თსუ ფაკულტეტებზე მოქნილი და ეფექტიანი სტრუქტურის ჩამოყალიბების აუცილებლობაზე. აღნიშნა, რომ უნდა არსებობდეს გარკვეული ფორმულა (რომელსაც აკადემიური საბჭო განსაზღვრავს), რაზეც უნდა აიგოს ფაკულტეტის სტრქუტურა, ვინაიდან არსებული მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელია. ასევე მიმართა კანცლერს, სენატის შემდეგი სხდომისთვის წარმოადგინოს შესაბამისი კომისია, რომელიც გადახედავს თსუ-ში არსებული ხელშეკრულებებით დასაქმებულ პირთა საკითხებს, რა რაოდენობაა, რა მდგომარეობაა ამ კუთხით... ასევე ხაზი გაესვა, ასისტენტ პროფესორთა პოზიციის დამატების საჭიროებას, რომელიც სწორედ კომისიის ფარგლებში უნდა გადაწყდეს.

რექტორის სიტყვით გამოსვლის დასრულების შემდგომ, სხდომა გაგრძელდა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვით.

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის დებულებაში ცვლილების შეტანის საკითხი საბჭოების წინაშე წარმოადგინა მომხსენებელმა - მაია ჩიღვინაძემ. აღნიშნა, რომ ცენტრის მოქმედ დებულებას ემატება ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც ცენტრი უფლებამოსილი იქნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოაქვეყნოს სტუდენტების გამოცდაზე განთავსების ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს სტუდენტის სახელს, გვარს, სექტორის ნომერს, ადგილის ნომერს და საგნის დასახელებას.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

მომხრე: 42

წინააღმდეგი: 0

**მიღებული გადაწყვეტილება:** დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის დებულებაში ცვლილება წარმოდგენილი სახით (დანართი 3);

2. დასამტკიცებლად წარმოდგენილია სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დებულების განახლებული ვერსიის პროექტი. დებულების ცვლილება არ იწვევს ბიბლიოთეკის ბიუჯეტის ზრდას.
ამასთან, როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, დებულების განახლება განპირობებულია დებულების მოქმედ ვერსიაში განხორციელებული მრავალი ცვლილებით: სტრუქტურული ერთეულების დამატება, ახალი საშტატო პოზიციების გაჩენა და სხვა, რაც იწვევს სამეცნიერო ბიბლიოთეკის სტრუქტურაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობას. ამასთან, ახალი დებულების დამტკიცებით ძალადაკარგულად უნდა ჩაითვალოს ადრე მოქმედი დებულება.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

მომხრე: 42

წინააღმდეგი: 0

**მიღებული გადაწყვეტილებები:**

1.დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დებულება წარმოდგენილი სახით და გამომდინარე აქედან, შევიდეს შესაბამისი ცვლილებები სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის სტრუქტურაში, დადგენილი წესით (დანართი #4);
2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ადრე მოქმედი დებულება.

3. დასამტკიცებლად წარმოგიდგენილი იქნა სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის დებულებაში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტი. როგორც საკითხის მომხსენებელმა აღნიშნა, ცვლილებები განპირობებულია მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტში ახალი სტრუქტურული ერთეულის შექმნით, რაც იწვევს ადმინისტრაციის ამ ერთეულის სტრქუტურაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობას, რაც უნდა განხორციელდეს დადგენილი წესით, საკითხზე დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში.
აღინიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხი იწვევს უნივერსიტეტის ბიუჯეტის ზრდას თვეში 700 ლარის, ხოლო წლიურად - 8400 ლარის ოდენობით.
საკითხის ირგვლივ გაიმართა დისკუსია. წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერის ვლადიმერ მარგველაშვილის შეკითხვაზე, მომხსენებელმა განმარტა, რომ ამ ერთეულის

შექმნა განაპირობა ინვენტარიზაციის პროცესის ჩატარების შემდეგ წარმოქმნილმა საჭიროებამ, მოხდება პრობლემების იდენტიფიცირება და გადაჭრა. საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელმა ზურაბ გაიპარაშვილმა კიდევ ერთხელ დასვა წიგნების ჩამოწერისა და ბიბლიოთეკის შიდა სივრციდან ავეჯის გატანის საკითხი. ამასთან, მიესალმა წარმოდგენილ ინიციატივას. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საკითხები უახლოეს პერიოდში დარეგულირდება და გადაწყდება.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

მომხრე: 42

წინააღმდეგი: 0

**მიღებული გადაწყვეტილება:**

დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის დებულებაში ცვლილებები წარმოდგენილი სახით და გამომდინარე აქედან, შევიდეს შესაბამისი ცვლილება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის სტრუქტურაში, დადგენილი წესით (დანართი 5);

4. დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა "სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2024 წლის 22 თებერვლის №29/2024 დადგენილება.
მომხსენებელმა, იურიდიული დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, არჩილ კუკულავამ ისაუბრა წარმოდენილი დოკუმენტის ირგვლივ. აღნიშნა, რომ წარმოდგენილი წესის შესახებ ინფორმირებულია, როგორც თსუ-ს ფაკულტეტების აკადემიური პერსონალი, ასევე იგი მოწონებული და გაზიარებულია აკადემიური საბჭოს მიერ.
მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მართალია დღეისათვის თსუ-ში არსებობს აფილირების წესი, თუმცა, განსხვავება ისაა, რომ აფილირება უკვე სავალდებულო ხდება თსუ-ს აკადემიური პერსონალისათვის და კონკურსის შედეგებიდან გამომდინარე, პირი ვალდებული იქნება დაადასტუროს მისი თსუ-სთან აფილირების ფაქტი. ამასთან, იგი ხელშეკრულებით ადასტურებს, რომ ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო/შემოქმედებით /საშემსრულებლო საქმიანობას და მისი კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი /საშემსრულებლო საქმიანობის შედეგები ეთვლება მხოლოდ თსუ-ს. როგორც უნივერსიტეტში, ასევე თსუ-სა და სხვა დაწესებულების კონსოლიდირებულ რესურსებზე დაფუძნებული კვლევით/სამეცნიერო/შემოქმედებით/საშემსრულებლო საქმიანობის შედეგების ჩათვლა/განაწილებისას, თსუ-ის აფილირებული პერსონალი ვალდებულია ზემოაღნიშნული გზით მიღებული პროდუქტის ავტორად/თანაავტორად ფიგურირებდეს მხოლოდ როგორც თსუ-ის აფილირებული პერონალი შესაბამისი წერილობითი

მითითებით - „სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი“.
მომხსენებელმა უპასუხა დასმულ შეკითხვებს, კერძოდ, რა ვალდებულებები წარმოეშვება აკადემიურ პერსონალს ამ წესის მიხედვით, რა რეაგირება მოყვება ამ ვალდებულებების დარღვევას და სხვა... ასევე, აღნიშნა, რომ ადრე მოქმედი წესი ძალადაკარგულად იქნება ცნობილი, ამასთან ახალი წესი შეეხება ამ წესის მიღების შემდგომ ურთიერთობებს.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

მომხრე: 42

წინააღმდეგი: 0

**მიღებული გადაწყვეტილება:** დამტკიცდეს “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2024 წლის 22 თებერვლის №29/2024 დადგენილება წარმოდენილი სახით (დანართი 6).

**5.** რექტორის აპარატისა და აკადემიური საბჭოს სამდივნოს უფროსმა, მზექალა აჭაიძემ წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მონაწილეებს გააცნო აკადემიური საბჭოს 2023 წლის ანგარიში. აღინიშნა, რომ 2023 წლის განმავლობაში ჩატარდა აკადემიური საბჭოს 18 სხდომა, 4 წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოების ერთობლივი სხდომა. აკადემიური საბჭოს მიერ მიღებულ იქნა 123 დადგენილება, ხოლო წარმომადგენლობით საბჭოს გაეგზავნა 9 წარდგინება.
აღინიშნა, 2023 წელს თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა თანამდებობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, აკადემიურმა საბჭომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით კონკურსი გამოაცხადა. 2023 წელს, ასევე კონკურსი გამოცხადდა თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად. მომხსენებელმა ასევე ისაუბრა, 2023 წლის განმავლობაში აკადემიური საბჭოს მიერ მიღებული დადგენილებების შესახებ, რომელიც შეეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა: შრომის ანაზღაურების ოდენობა და პირობები, პროფესორთა აკადემიურ თანამდებობებზე არჩევა და კონკურსთან დაკავშირებული ღონისძიებები, საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცება, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულთა დირექტორების არჩევა და კონკურსთან დაკავშირებული ღონისძიებები, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულთა დირექტორების თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსებში 65 წლის ან მეტი ასაკის პირთა მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილებები, თსუ საპატიო დოქტორის წოდებისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლის მიენიჭების შესახებ დადგენილებებზე, სასწავლო პროცესთან დაკავშირებით მიღებულ

გადაწყვეტილებებზე, ანკეტა-კითხვარის საკითხებზე, საგანმანათლებლო პროგრამებსა და სხვა სახის დადგენილებების შესახებ.
აღნიშნა, რომ უფრო დეტალური ინფორმაცია წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს დაგზავნილი ჰქონდათ გასაცნობად.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

მომხრე: 42

წინააღმდეგი: 0

**მიღებული გადაწყვეტილება:** სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის ანგარიში მიღებულ იქნეს ცნობად. (დანართი 7)

**6.** აღინიშნა, რომ წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე (26.12.2023 წ. #7 სხდომის ოქმი) მიღებული იქნა გადაწყვეტილება, საკითხის აკადემიური საბჭოს მონაწილეობით ხელახლა განხილვასთან დაკავშირებით. სენატის სპიკერმა აღნიშნა, რომ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის, თსუ-ს ასისტენტ პროფესორის ლერი თავაძის ინიციატივას, შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტების ზედნადები ხარჯების განაწილების წესის შეცვლის შესახებ საკითხზე შესაბამისი კომისიის შექმნასთან დაკავშირებით, ასევე უერთდებიან სენატის წევრი სტუდენტების უმრავლესობა (სენატის სამდივნოში წარმოდგენილია შესაბამისი წერილობითი განცხადება) და ითხოვენ, განხილული და შესწავლილი იქნეს აღნიშნული საკითხი ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობით და კომისიამ ამის საფუძველზე გასცეს შესაბამისი რეკომენდაციები.

საკითხის შესახებ საბჭოს სხდომას კიდევ ერთხელ მიაწოდა ინფორმაცია, საკითხის ინიციატორმა, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა ლერი თავაძემ, რის შემდეგაც გაიმართა ხანგრძლივი მსჯელობა, რომელშიც მონაწილეობდნენ როგორც წარმომადგენლობითი, აკადემიური საბჭოს წევრები, ასევე თსუ-ს ადმინისტრაციის წარმომადგენლები. გამომსვლელების ნაწილმა მხარი დაუჭირა სამუშაო ჯგუფის შექმნას, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავების მიზნით. ამასთან გამოითქვა მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ვინიდან არსებობს თსუ-ს კანცლერის მიერ დამტკიცებული წესი გრანტების ზედნადები ხარჯების განაწილებასთან დაკავშირებით, რომლის მიმართ არანაირი შენიშვა არ გამოთქმულა სახელმწიფო აუდიტის მიერ თსუ-ს საქმიანობის შემოწმებისას, არ არსებობს მსგავსი ჯგუფის შექმნის აუცილებლობა. გამომსვლელების მხრიდან ხაზი გაესვა, თსუ-ს შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების მხრიდან ეფექტიან და ხარისხიან მომსახურეობას. ამასთან, გამოითქვა მოსაზრება, რომ მართალია, სამართლებრივი ხარვეზი ამ საკითხს არა აქვს, თუმცა გრანტის ზედნადები ხარჯების გადაწილების მიზნობრიობაზე მსჯელობა შესაძლებელია.
საბოლოოდ, საკითხის განხილვა გადაიდო შემდეგი აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოს გაერთიანებული სხდომისთვის, იმის გათვალისწინებით,

რომ გადაწყვეტილების მისაღებად სენატის სხდომაზე, მოცემული მომენტისთვის, არ იყო წარმოდგენილი აკადემიური საბჭოს წევრთა საკმარისი რაოდენობა, მაშინ როდესაც წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 26 დეკემბრის #7 სხდომის ოქმით მიღებული გადაწყვეტილებით, აღნიშნულ საკითხი განხილული უნდა იქნეს აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების გაერთიანებულ სხდომაზე, რათა კომისიის შექმნის საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, უზრუნველყოფილი იქნას კომისიის მუშაობაში აკადემიური საბჭოს წევრთა ჩართულობაც.

7. როგორც საკითხის მომხსენებელმა, თსუ კანცლერმა ლაშა საღინაძემ აღნიშნა, ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებ“-ში 2023 წლის 9 ივნისს შევიდა გარკვეული ცვლილებები, რომელიც დამტკიცდა წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2023 წლის 09 ივნისს (ოქმი N5, 2023 წლის 09 ივნისი). ერთ-ერთი ცვლილება შეეხო შინაგანაწესის მე-5 მუხლს, რომელსაც დაემატა შემდეგი შინაარსის მე-10 და მე-11 პუნქტები:
,,10. უნივერსიტეტის პერსონალს მისთვის განსაზღვრული სამუშაო საათების განმავლობაში უფლება არ აქვს განახორციელოს შეთავსებითი შრომითი საქმიანობა, როგორც უნივერისტეტის ფარგლებს გარეთ, ისე უნივერსიტეტის ფარგლებში, გარდა წინამდებარე შინაგანაწესით განსაზღვრული შემთხვევებისა.
11. თსუ-ის იმ პერსონალს, ვისი სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო (ხანგრძლივობა) განისაზღვრება 0900 საათიდან 1800 საათამდე (ყოველი სამუშაო კვირის პარასკევ დღეს ან საქართველოს ორგანული კანონი - საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული უქმე დღეების წინა სამუშაო დღეს - 0900 საათიდან 17 00 საათამდე), უფლება ეძლევათ განახორციელონ უნივერსიტეტის ფარგლებში მხოლოდ სამეცნიერო-კვლევითი (რაც ითვალისწინებს შეთავსებით, სამეცნიერო-კვლევითი ფუნქციების მქონე თანამდებობის დაკავებას შესაბამისი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე) და საგანმანათლებლო საქმიანობა (რაც გულისხმობს შეთავსებით თსუ-ის პროფესიულ, ქართულ ენაში მომზადების, უწყვეტი განათლების ცენტრის სასერთიფიკატო კურსების, საბაკალავრო, სამაგისტრო, ერთსაფეხურიან და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართულობას, მათ შორის აკადემიური პერსონალის სტატუსით) შესაბამისი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, კვირაში არაუმეტეს 8 და სამუშაო დღის განმავლობაში არაუმეტეს 4 საათისა, რაც განისაზღვრება შესაბამის პერსონალთან გაფორმებული სათანადო შორმითი ხელშეკრულების საფუძველზე.“
აღინიშნა, რომ მედიცინის ფაკულტეტზე სწავლება მიმდინარეობს კურაციული მოდელით, რაც დაკავშირებულია პერსონალის საათობრივი დატვირთვის არათანაბარ გადანაწილებასთან. სწავლების როგორც ქართულენოვანი, ასევე ინგლისურენოვანი სექტორი, ფაკულტეტის დეკანის განმარტებით, განიცდის პროფესიონალი ადამიანური რესურსის მწვავე დეფიციტს, რის გამოც საგანამათლებლოო პროგრამების განხორციელების პროცესში, კვალიფიკაციის გათვალისწინებით, აქტიურად არის ჩართული ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალი. შესაბამისად, შინაგანაწესის მე-5 მუხლის მე-11 პუნქტით გავალისწინებული შეზღუდვა აფერხებს ფაკულტეტზე როგორც ქართულენოვანი, ასევე ინგლისურენოვანი პროგრამების განხორციელებას.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად ჩაითვალა შინაგანაწესის მე-5 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა არ გავრცელდეს სწავლების

კურაციული მოდელით მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართულ პერსონალზე (მათ შორის აკადემიური პერსონალი), რისთვისაც საჭირო გახდა შინაგანაწესის მე-5 მუხლისათვის შემდეგი შინაარსის მე-12 პუნქტის დამატება: **„12. ამ მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული შეზღუდვა არ ვრცელდება ამავე პუნქტით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელ იმ პერსონალზე (მათ შორის აკადემიური პერსონალი), რომელიც ჩართულია სწავლების კურაციული მოდელით მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში".**
შინაგანაწესში შესატანი ცვლილების პროექტი გაეგზავნა თსუ-ის ყველა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს და ეთხოვა მისი გასაცნობად გადაგზავნა პერსონალისათვის.
თსუ-ის ყველა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისაგან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სახელზე შემოვიდა წერილობითი შეტყობინება იმის თაობაზე, რომ „შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებ"-ში შესატანი ცვლილებები გასაცნობად გადაეგზავნა როგორც საშტატო, ასევე შტატგარეშე ყველა კატეგორიის პერსონალს.
წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, ვლადიმერ მარგველაშვილმა, როგორც მედიცინის ფაკულტეტის წარმომადგენელმა, მხარი დაუჭირა წარმოდგენილ ცვლილებას და მიესალმა ამ ინიციატივას.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**
მომხრე: 42

წინააღმდეგი: 0

**მიღებული გადაწყვეტილება:**

დამტკიცდეს „სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებში" შესატანი ცვლილება (დამატება) წარმოდგენილი სახით (დანართი 8).

**8.** საკითხის მომხსენებელმა, სამუშაო ჯგუფის/კომისიის ხელმძღვანელმა ზურაბ გაიპარაშვილმა წარმოადგინა დასკვნა (რეკომენდაცია). კომისიის მიერ მომზადებული დასკვნა, დადგენილი წესით, გასაცნობად გადაგზავნილი იქნა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებთან.

აღინიშნა, რომ განხილული და შესწავლილი იქნა ქ. თბილისში, ქეთევან დედოფლის გამზირზე მდებარე უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის და მასზე დამაგრებული შენობა -ნაგებობის (საკადასტრო კოდი 01.17.13.042.014) განკარგვის საკითხი.
სამუშაო ჯგუფის წევრები საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია უნივერსიტეტის მიერ განხორციელდეს, ქ. თბილისში, ქეთევან დედოფლის გამზირზე მდებარე უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის

ნაკვეთის და მასზე დამაგრებული შენობა -ნაგებობის (საკადასტრო კოდი 01.17.13.042.014) პრივატიზება შემდეგი პირობათა დაცვით:

1.უნივერსიტეტის ქუჩაზე, უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ (საკადასტრო კოდი: 01.14.06.006.116) მიწის ნაკვეთზე (უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წინ, ოქმში წარმოდგენილი ნახაზით განსაზღვრულ ტერიტორიაზე) აშენდეს შესაბამისი ფართის სასწავლო დანიშნულების შენობა-ნაგებობა, რომელიც მოემსახურება, როგორც 1+4 პროგრამის სტუდენტებს, ასევე საუნივერსიტეტო (სასწავლო დანიშნულების) სხვა საჭიროებებსაც;
2. უნივერსიტეტის ქუჩაზე, უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ (საკადასტრო კოდი: 01.14.06.006.116) მიწის ნაკვეთზე (უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წინ, ოქმში წარმოდგენილი ნახაზით განსაზღვრულ ტერიტორიაზე) აშენდეს სტუდენტური საერთო საცხოვრებელი, რომელიც დააკმაყოფილებს ყველა შესაბამის სტანდარტს.
3. უნივერსიტეტის ქუჩაზე, უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ (საკადასტრო კოდი: 01.14.06.006.116) მიწის ნაკვეთზე (უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წინ, ოქმში წარმოდგენილი ნახაზით განსაზღვრულ ტერიტორიაზე) ტერიტორიაზე მოეწყოს სარეკრეაციო-სპორტული დანიშნულების ინფრასტრუქტურა (სარეკრეაციო სივრცე სტადიონი/სპორტული დარბაზი).
საკითხის ირგვლი გაიმართა დისკუსია. მომხსენებელმა, ასევე უნივერსიტეტის კანცლერმა უპასუხეს დასმულ შეკითხვებს. აღინიშნა, რომ საკითხი კვლავ გახდება წარმომადგენლობითი საბჭოს მსჯელობის საგანი, რადგან კანონით განსაზღვრულია მთელი რიგი პროცედურები საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

წარმომადგენლობითმა საბჭოს წევრების მიერ ერთხმად იქნა მხარდაჭერილი, მოწონებული და გაზიარებული თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის 11 იანვრის #2/02-01 ბრძანების საფუძველზე შექმნილი სამუშაო ჯგუფის/კომისიის მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები (დანართი 9).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი — ვლადიმერ მარგველაშვილი

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი — გიორგი ოქიტაშვილი

**დანართი 1**

**სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები (2024 წლის 18 მარტის #3 სხდომა)**

## ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

**აკადემიური პერსონალი**

1. ნაზირა კაკულია -
2. მიხეილ ჩიკვილაძე -
3. ნინო ფარესაშვილი -
4. ლელა ბახტაძე -
5. მარინა მაისურაძე -

**სტუდენტები:**

1. დავით ნებიერიძე -
2. საბა გოგიბერიძე -
3. მარიამ შენგელია -

4. ილარიონ ფიფია -

5. ელენე გაჩეჩილაძე - ე. გაჩეჩილაძე

6. ლიკა წერეთელი-

## ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

**აკადემიური პერსონალი:**

1. ილია თავხელიძე-

2. ლია მაჭავარიანი-

3. ნათელა არჩვაძე-

4. ამირან ბიბილაშვილი-

5. მარიამ ახალკაციშვილი-

6. მაკა მურვანიძე-

**სტუდენტები:**

1. ანა ბოკერია-

2. მარიამ ვარდოსანიძე-

3. ვასილ ბერიძე-

4. დავით მუზითიძე-

## იურიდიული ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი:

1. მარინა გარიშვილი-

2. მაია ივანიძე-

3. გიორგი თუმანიშვილი-

სტუდენტები:

1. ბარბარა მახარაძე-

2. საბა ქვათაძე-

3. თამარ ჯინჭარაძე-

## სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი:

1. ხათუნა მაისაშვილი-

2. ნათია სვანიძე-

3. ავთანდილ ტუკვაძე-

**სტუდენტები:**

1. ალექსანდრე გაბაშვილი-

2. კახა კუჭუხიძე-

3. ნინო პაქსაშვილი-

## ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

**აკადემიური პერსონალი:**

1. ვლადიმერ გამსახურდია-

2. იზაბელა პეტრიაშვილი-

**სტუდენტები:**

1. ანი ფურცელაძე-

2. ბარბარე მამაგეიშვილი-

## მედიცინის ფაკულტეტი

**აკადემიური პერსონალი:**

1. ვლადიმერ მარგველაშვილი-

2. თინა ქიტუაშვილი-

3. ზურაბ ჩხაიძე-

4. შალვა ფარულავა-

5. გიორგი პატარაია-

**სტუდენტები:**

1. ასჰრაფ მაკკი ელკჰალიფა მოჰამედ-

2. ანა ფაშაევა-

## ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

**აკადემიური პერსონალი:**

1. კახაბერ ლორია-

2. ანასტასია ზაქარიაძე-

3. ელისაბედ ბჟალავა-

4. მანანა რუსიეშვილი-

5. თეა ქარჩავა-

6. ლერი თავაძე-

7. ნიკოლოზ ჯავახიშვილი-

8. ინგა სანიკიძე-

**სტუდენტები:**

1. გიორგი არქანია-

2. საბა გიორგაძე-

3. ნათია კორაშვილი-

4. გიორგი ლაბაძე -

5. ლუკა მამალაშვილი-

ნ. ლუკა ნარმანია-

## საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა

ზურაბ გაიპარაშვილი-

## ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა

ნინო პავლიაშვილი-

## ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი

ციური სუმბაძე-

## ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი

სოფიო ხუციშვილი-

## კავკასიის ალ. თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი

ლალი ახალბედაშვილი-

## შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტი

ადა ნემსაძე-

## ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი

თეიმურაზ მაჩაიძე-

**ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი**

თამილა ჩალაძე-

**ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის სახელობის ინსტიტუტი**

გიორგი მამარდაშვილი-

**თინათინ წერეთლის სახელობის სახ. და სამართლის ინსტიტუტი**

ედიშერ ფუტკარაძე-

**მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი**

მანანა ნიკოლაიშვილი-

**პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი**

მარინა გურგენიშვილი-

**რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტი**

მარინე ხუციშვილი-

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

ეთერ კაკულია-

არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი

გვანცა გვანცელაძე-

მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი

ნოდარ ლომიძე- ნ. ლომიძე

ი. ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი

თეა შავაძე-

ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი

ალექსი პაპკორია-

დანართი 2 **წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 18 მარტის სხდომის ოქმი #3**

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრთა სია

(2024 წლის 18 მარტი, N3 სხდომა)

1. სამუშია ჯაბა, რექტორი, აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე
2. აბაშიძე ზურაბ
3. ავაზაშვილი ნიკოლოზ
4. ამირანაშვილი ავთანდილ
5. ანანიაშვილი ნათელა
6. ბახტაძე მიხეილ
7. გავაშელი ცისანა
8. გონაშვილი ვასილ
9. ზაუტაშვილი მარინე
10. კოპალეიშვილი მაია
11. კუხიანიძე ალექსანდრე
12. ლობჟანიძე გია
13. ლომიძე გაგა
14. მაღრაძე ვახტანგ
15. მინდაძე ნინო
16. სადრაძე ნინო
17. სილაგაძე ავთანდილ
18. ფურაძე გოჩა

19. ფურთუხია ომარ

20. ქიტიაშვილი ზაქარია

21. ქურდაძე რამაზ

22. ღონღაძე ალექსანდრე

23. ყარალაშვილი თამაზ

24. შავლაყაძე ნუგზარ

25. შალიკაშვილი მორის

26. შანიძე რევაზი

27. შარაშიძე ნინო

28. შენგელია თემური

29. ჩიტაშვილი მარინე

30. ცისკარიძე ალექსანდრე

31. წერეთელი მარი

32. ხარაიშვილი ეთერ

33. ხაჩიძე მანანა

34. ხუსკივაძე მამუკა

35. ხუციშვილი ქეთევან

**სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის დებულების მე-3 მუხლის მე-7 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ო“ ქვეპუნქტი:

„ო) უფლებამოსილია თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტის ვებგვერდზე გამოაქვეყნოს სტუდენტების გამოცდაზე განთავსების ინფორმაციის ამსახველი დოკუმენტი, რომელიც შეიცავს სტუდენტის სახელს, გვარს, სექტორის ნომერს, ადგილის ნომერს და საგნის დასახელებას.“;

N 1506/10 24.01.2024

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი

საბჭოს სპიკერს, ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის'' წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის თანახმად, დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის დებულებაში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტს.

დანართი: 1 ფურცელი.

პატივისცემით,

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
# ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის
# დებულება

2024 წელი

## თავი I

## ზოგადი დებულებანი

**მუხლი 1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის სტატუსი და საქმიანობის პრინციპები**

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი" ან ,,თსუ") ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა (შემდგომში –,,ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა" ან ,,ესბ") წარმოადგენს უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც არ ერთიანდება უნივერსიტეტის რომელიმე სტრუქტურული ერთეულის შემადგენლობაში.

2. ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ძირითადი საქმიანობის მიმართულებებია:
ა) ღია მეცნიერების განვითარების ხელშეწყობა;
ბ) უნივერსიტეტების, სხვა საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების როგორც ელექტრონული, ასევე სხვა სასწავლო, სამეცნიერო რესურსებით მომსახურების უზრუნველყოფა;
გ) სამეცნიერო-ტექნოლოგიური ინოვაციების ხელშეწყობა;
დ) ინოვაციური საინფორმაციო, ასევე საბიბლიოთეკო ტექნოლოგიებისა და მომსახურების განვითარება, ბიბლიოთეკაში არსებული მასალების, საბიბლიოთეკო დოკუმენტებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვა;
ე) მომხმარებელთა ოპერატიული, სრულყოფილი და ხარისხიანი მომსახურება;
ვ) კანონმდებლობით გათვალისწინებული საბიბლოთეკო დოკუმენტაციის წარმოება და დაცვა.

3. ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა თავისი საქმიანობისას ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საბიბლიოთეკო საქმის შესახებ კანონით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით, სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით.

4. ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ასრულებს წინამდებარე დებულებით განსაზღვრულ მიზნებსა და ფუნქციებს, ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წინაშე.

5. ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკას აქვს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ გამოყოფილი საკუთარი დაფინანსება და განცხადების სატიტულო ფურცელი, რომელზეც დატანილია თსუ-ის გერბი მარცხენა მხარეს და ესბ -ს ლოგო მარჯვენა მხარეს.

6. ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა შედგება სამი სივრცისგან. თითოეულ მათგანს აქვს წიგნსაცავი, სამკითხველო დარბაზი, საკონფერენციო, სამუშაო და ტექნიკური სივრცეები. ბიბლიოთეკის ძირითადი კორპუსი მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის II შეს. №3; მეორე კორპუსი - ტექნიკური დოკუმენტაცია და საპატენტო მომსახურება ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქუჩა №45/47; მესამე კორპუსი - იოსებ გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმი ქ. თბილისი, ალგეთის შეს. №1.
7. ბიბლიოთეკის სამუშაო საათების რაოდენობა განისაზღვრება ბიბლიოთეკის სამუშაო გეგმებით, კვირაში ექვსი დღე, არანაკლებ 51 საათი.

თავი II

## ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის მიზნები და ფუნქციები

მუხლი 2. მიზნები და ფუნქციები

1. ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის მიზნებია:

ა) საქართველოში მეცნიერების, ღია მეცნიერების, ინოვაციების, განათლებისა და ტექნოლოგიების განვითარების ხელშეწყობა;

ბ) საგანმანათლებლო მიმართულების ბიბლოთეკებში ლიდერის როლის გაძლიერება, მათთვის სისტემატურად თანამედროვე საბიბლიოთეკო სიახლეების, ტექნოლოგიების გავრცელებისა და გამოცდილების გაზიარების გზით;

გ) მომხმარებლის მოზიდვა და მათთვის სასურველი სერვისებისა და მომსახურების მუდმივი განვითარება;

დ) ინოვაციური საინფორმაციო და საბიბლიოთეკო ტექნოლოგიების განვითარება;

ე) საქართველოში ციფრული რესურსების განვითარება სამეცნიერო, საგანმანათლებლო, საინფორმაციო, ტექნიკური ბეჭდური და ელექტრონული რესურსების შეგროვება-გაციფრულების გზით;

ვ) მომხმარებლისთვის სასურველი სამეცნიერო, ტექნიკური ინფორმაციის, ბიბლიოთეკის სამეცნიერო პროდუქციისა და ქვეყნის საუკეთესო საინფორმაციო რესურსების ფონდის განვითარება, მისი, როგორც ქვეყნის ეროვნული მემკვიდრეობის, დაცვა.

2. ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ფუნქციებია:

ა) მომხმარებლისთვის სასურველი სამეცნიერო, ტექნიკური ინფორმაციის, ბიბლიოთეკის სამეცნიერო პროდუქციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ნებისმიერ ფორმატში (ბეჭდურ, ელექტრონულ, ხელნაწერ თუ სხვა);

ბ) თანამედროვე საინფორმაციო და საბიბლიოთეკო ტექნოლოგიებისა და მათი განვითარების ტენდენციების შესწავლა (ქვეყანაში და საზღვარგარეთ), მათი პრაქტიკული გამოყენების ხელშეწყობა და ამ სფეროში რეკომენდაციების მომზადება უნივერსიტეტისა და სხვა დაწესებულებებისათვის;

გ) თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით, როგორც საქართველოს, ასევე საზღვარგარეთის პარტნიორ ბიბლიოთეკებსა და ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფორმების შემუშავება, დაგეგმვა და განხორციელების უზრუნველყოფა;

დ) ბიბლიოთეკით სარგებლობის წესების, სტანდარტების შემუშავება და ბიბლიოთეკის სამომხმარებლო სივრცეებში, შესაბამისი დიფერენცირებული მოთხოვნებით, მომხმარებელთა მომსახურების უზრუნველყოფა;

ე) გარემოსა და მომსახურების ხარისხის მუდმივი განვითარება, მომხმარებლებისათვის მომსახურების პირობების მუდმივი გაუმჯობესება.

ვ) ბიბლიოთეკის მომხმარებელთა მოთხოვნების, ინტერესებისა და პროფესიული მოთხოვნილების შესწავლა და ანალიზი, მათი მომსახურებისათვის სათანადო პირობების შექმნა და ინტერესების სრულად და ოპერატიულად დაკმაყოფილება;

ზ) მომხმარებელთა თანასწორუფლებიანობის დაცვისა და ამავე დროს, განსხვავებული კულტურული თუ საქმიანი მოთხოვნების გათვალისწინების უზრუნველყოფა;

თ) მეცნიერების, ღია მეცნიერების, ინოვაციების, განათლებისა და ტექნოლოგიების

პოპულარიზაციის პირობების შექმნა, მათი წინსვლისათვის საჭირო ინფორმაციის შეგროვების, დაცვის, სამეცნიერო-ანალიტიკური დამუშავებისა და გავრცელების, ოპტიმალური სამეცნიერო–საკომუნიკაციო გარემოს ჩამოყალიბების უზრუნველყოფა;

ი) ინოვაციებისა და ბიზნესის სფეროს კავშირის მხარდამჭერი, ასევე მათი საინფორმაციო მოთხოვნებისა და შეთავაზებების, სამეცნიერო ანალიზის პირობების შექმნა;

კ) ბიბლიოთეკის საინფორმაციო ფონდების პერიოდული შესწავლა, შემოწმება, ოპტიმიზაციის ორგანიზება;

ლ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით, ფინანსური და სხვა ტიპის რესურსების უწყვეტი მოზიდვის უზრუნველყოფა, ბიბლიოთეკის მიზნების მისაღწევად.

## თავი III

## ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის სტრუქტურა და ხელმძღვანელობა

### მუხლი 3. ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამდებობები

1. ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი.

2. ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორს, თსუ-ს რექტორის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

3. ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორის მიერ მოვალეობათა დროებით შეუსრულებლობის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა), მის მოვალეობას ასრულებს დირექტორის მოადგილე, ხოლო დირექტორის მოადგილის არყოფნის შემთხვევაში დირექტორის მოვალეობას ასრულებს ფონდების დაცვის, შენახვისა და განვითარების დეპარტამენტის ან გარემოსა და მომსახურების ხარისხის განვითარების დეპარტამენტის უფროსი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების საფუძველზე.

4. ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის საშტატო ნუსხა, რომელიც განსაზღვრავს თანამდებობების რაოდენობებსა და მათს სახელფასო განაკვეთებს, წარმოადგენს უნივერსიტეტის საშტატო განრიგის შემადგენელ ნაწილს. ბიბლიოთეკის საშტატო ნუსხას წარადგენს დირექტორი და მტკიცდება თსუ-ს რექტორისა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ერთობლივი ბრძანებით.

5. უნივერსიტეტის საშტატო განრიგით ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკისათვის განსაზღვრული თანამდებობებია: დირექტორი; დირექტორის მოადგილე; დირექტორის თანაშემწე; კონსულტანტი; ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი; ხარისხის მართვის მენეჯერი; ხარისხის მართვის სპეციალისტი; ბუღალტერი; საწყობის მენეჯერი; პროგრამისტი; წამყვანი პროგრამისტი; საინფორმაციო ტექნოლოგიები - სისტემური ადმინისტრატორი; დეპარტამენტის უფროსი; განყოფილების უფროსი; ჯგუფის უფროსი; წამყვანი სპეციალისტი; მთავარი სპეციალისტი; უფროსი სპეციალისტი; სპეციალისტი; მონაცემთა ბაზების ადმინისტრატორი; პიარ-მენეჯერი; საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი; მთავარი ინჟინერი; სამეურნეო მენეჯერი; დაცვის თანამშრომელი/დარაჯი; დამლაგებელი; მებაღე; მრავალპროფილიანი მუშა; ელექტრიკოსი; მკინძავი; ტრენინგ-ცენტრის მენეჯერი; პედაგოგი; მთარგმნელ-რედაქტორი; რედაქტორი; ციფრული მასალის რედაქტორი; სკანირების მენეჯერი; გაციფრულებული მასალის ოპერატორი; პროექტების მენეჯერი; პროექტების სპეციალისტი; ღია მეცნიერების ბიბლიოთეკარი; ღია მეცნიერების მრჩეველი; რეპოზიტორიუმის მენეჯერი; მონაცემთა ოფიცერი; რეპოზიტორიუმის ადმინისტრატორი; ხმის ოპერატორი/ინჟინერი; ციფრული ფოტოგრაფია და სკანირების უფროსი სპეციალისტი და სხვა.

### მუხლი 4 . ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი და დირექტორის მოადგილე

1. ესბ-ის დირექტორი:

ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის საქმიანობას;

ბ) წარმოადგენს ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკას დაკისრებული უფლება-მოვალეობების განხორციელებისას და პასუხისმგებელია ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაზე დაკისრებული ფუნქციებისა და მიზნების შესრულებაზე;

გ) ბიბლიოთეკის დეპარტამენტის უფროსებთან ერთად შეიმუშავებს ბიბლიოთეკის სამოქმედო გეგმებს, სტრატეგიას, ყოველწლიურ ბიუჯეტს, საშტატო განრიგს, სტრუქტურას, დებულებას ან სხვა სამოქმედო დოკუმენტების პროექტებს და წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელს;

დ) შესაბამის თანამდებობებზე დანიშვნის მიზნით (როგორც საშტატო ნუსხით გათვალისწინებული, ასევე შტატგარეშე) უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს წარუდგენს ბიბლიოთეკის თანამშრომლების კანდიდატურებს;

ე) აცნობებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის შესაბამის ერთეულს, ბიბლიოთეკის სამუშაო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, მათ შორის თანამშრომელთა მიერ, მათი მოვალეობების ჯეროვნად შესრულების შესახებ;

ვ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში იხილავს, ვიზირებას უკეთებს და შემდგომი კომუნიკაციისათვის გადასცემს, ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში მომზადებულ დოკუმენტებს;

ზ) ამტკიცებს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის სამუშაო გეგმას და პერიოდულად განიხილავს ბიბლიოთეკის დეპარტამენტების ანგარიშს, მათ მიერ გაწეული მუშაობის შესახებ;

თ) ზედამხედველობს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის თანამშრომლების მიერ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობების ჯეროვნად შესრულებას, ახორციელებს მათ მიერ უნივერსიტეტის შინაგანაწესის შესრულების კონტროლს;

ი) წარადგენს ანგარიშს ბიბლიოთეკის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ყოველწლიურად, აგრეთვე ნებისმიერ დროს, უნივერსიტეტის რექტორისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის დავალებით;

კ) ახორციელებს ამ დებულებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს კანონმდებლობით, განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. ესბ-ის დირექტორის მოადგილე:

ა) ხელს უწყობს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორს, მასზე დაკისრებული მოვალეობების განხორციელების დაგეგმვა-კოორდინაციასა და ორგანიზებაში;

ბ) კურირებს ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დეპარტამენტების საქმიანობას, რაც განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით.

გ) ბიბლიოთეკის დირექტორის არყოფნის შემთხვევაში (შვებულება, მივლინება, ავადმყოფობა) ასრულებს ბიბლიოთეკის დირექტორის მოვალეობას;

დ) ასრულებს, წინამდებარე დებულებით განსაზღვრული საქმიანობის ინტერესებიდან გამომდინარე, ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორისგან მიღებულ ცალკეულ დავალებებს.

მუხლი 5. ესბ - ის სტრუქტურული ერთეულები

1. ადმინისტრაცია:

ა) დირექტორის თანაშემწე;

ბ) ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერი;

გ) ხარისხის მართვის მენეჯერი;

დ) ხარისხის მართვის სპეციალისტი;

ე) საწყობის მენეჯერი;

ვ) ბუღალტერი;

ზ)კონსულტანტი.

2. ღია მეცნიერების დეპარტამენტი:
ა) ღია მეცნიერების განვითარების განყოფილება;
ბ) საპატენტო მომსახურებისა და ტექნოლოგიების კომერციალიზაციის ჯგუფი;
გ) დიგიტალიზაციის განყოფილება;
დ) ციფრული ფოტოგრაფიის ჯგუფი;
ე) ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის განყოფილება.

3. ფონდების დაცვის, შენახვისა და განვითარების დეპარტამენტი:
ა) საბიბლიოთეკო ფონდების განყოფილება;
ბ) ჰიგიენისა და რესტავრაციის ჯგუფი;
გ) კატალოგების მართვის განყოფილება;
დ) დაკომპლექტების განყოფილება.

4. მომხმარებელთა მომსახურების დეპარტამენტი:
ა) სამკითხველო დარბაზებით მომსახურებისა და აბონემენტის განყოფილება;
ბ) ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმი და ბიბლიოგრაფიული გჯუფი;
გ) ტრენინგ-ცენტრი;
დ) სამეცნიერო-ტექნიკური თარგმანის ჯგუფი.

5. მომხმარებელთა მოზიდვისა და სერვისების განვითარების დეპარტამენტი.

6. გარემოსა და მომსახურების ხარისხის განვითარების დეპარტამენტი:
ა) ინფრასტრუქტურის განყოფილება;
ბ) ხარისხის განვითარების ჯგუფი.

7. ფინანსური რესურსების განვითარების დეპარტამენტი.

მუხლი 6. სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელობა

1. დეპარტამენტის უფროსი:
ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს დეპარტამენტის საქმიანობას;
ბ) ანაწილებს მოვალეობებს განყოფილებების, ჯგუფების, ტრენინგ-ცენტრის ხელმძღვანელებს შორის, დეპარტამენტის თანამშრომლებს შორის, განსაზღვრავს მათ ფუნქციებს და აძლევს დავალებებს;
გ) ადგენს დეპარტამენტის ყოველწლიურ გეგმებს, ამზადებს ყოველკვარტალურ და ყოველწლიურ ანგარიშს და წარუდგენს ბიბლიოთეკის დირექტორს/დირექტორის მოადგილეს;
დ) ორგანიზებას უწევს დეპარტამენტისათვის დაკისრებული ფუნქციების შესრულებას, რისთვისაც ბიბლიოთეკის დირექტორს/დირექტორის მოადგილეს წარუდგენს წინადადებებს ცალკეული საკითხების მოწესრიგებისა და გადაწყვეტილების მიღების თვალსაზრისით;
ე) ასრულებს ბიბლიოთეკის დირექტორის/დირექტორის მოადგილის ცალკეულ დავალებებს;
ვ) პასუხისმგებელია დეპარტამენტის საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე.

3. განყოფილების უფროსი:
ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს განყოფილების საქმიანობას;

ბ) ანაწილებს მოვალეობებს განყოფილების თანამშრომლებს შორის, განსაზღვრავს მათს ფუნქციებს და აძლევს დავალებებს;
გ) ადგენს განყოფილების ყოველწლიურ გეგმებს, ამზადებს ყოველკვარტლურ და ყოველწლიურ ანგარიშს და წარუდგენს დეპარტამენტის უფროსს;
დ) ასრულებს დეპარტამენტის უფროსის ან დირექტორის/დირექტორის მოადგილის ცალკეულ დავალებებს;
ე) პასუხისმგებელია განყოფილების საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე.

3. ჯგუფის უფროსი:
ა) ხელმძღვანელობს და წარმართავს ჯგუფის საქმიანობას;
ბ) ანაწილებს მოვალეობებს ჯგუფის თანამშრომლებს შორის, განსაზღვრავს მათს ფუნქციებს და აძლევს დავალებებს;
გ) ადგენს ჯგუფის ყოველწლიურ გეგმებს, ამზადებს ყოველკვარტლურ და ყოველწლიურ ანგარიშს და წარუდგენს დეპარტამენტის უფროსს;
დ) ასრულებს დირექტორის/დირექტორის მოადგილის, დეპარტამენტის უფროსის ცალკეულ დავალებებს;
ე) პასუხისმგებელია ჯგუფის საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე.

მუხლი 7. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები

1. ღია მეცნიერების დეპარტამენტის ფუნქციებია:
ა) საქართველოში ღია მეცნიერების პოპულარიზაციისა და განვითარების ხელშეწყობა;
ბ) ღია მეცნიერების განვითარებისთვის შესაბამისი გარემოს, კონსულტაციებისა და ინფორმაციის მიწოდების უზრუნველყოფა;
გ) ქართულენოვანი სამეცნიერო მასალების ციფრულ ფორმატში გადატანის უზრუნველყოფა;
დ) ქართული სამეცნიერო სივრცის შესაფერისი არქივებითა და რეპოზიტორიუმებით უზრუნველყოფა;
ე) ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის სამეცნიერო-საგანმანათლებლო ღია სივრცის ფუნქციონირების ხელშეწყობა.

2. ფონდების დაცვის, შენახვისა და განვითარების დეპარტამენტი:
ა) უზრუნველყოს მომხმარებლისათვის სასურველ ფონდებზე ხელმისაწვდომობის მაქსიმალური ზრდა, განვითარება და მათი უსაფრთხო პირობებში შენახვა;
ბ) მომხმარებლის საჭიროებების მიხედვით ფონდების მაქსიმალური მობილიზაციის უზრუნველყოფა;
გ) მობილიზებული ფონდების სწორი მართვა;
დ) არსებული ფონდების მაქსიმალურად უსაფრთხოდ, დაცულ პირობებში შენახვის უზრუნველყოფა.

3. მომხმარებელთა მომსახურების დეპარტამენტის ფუნქციები:
ა) უზრუნველყოს მომხმარებლების მაქსიმალური კმაყოფილება ბიბლიოთეკის არსებული რესურსებითა და მომსახურებით მოქმედი სტანდარტების დაცვით;
ბ) სამუშაოებისა და პროცესების მიმდინარე ყოველდღიური/კვირეული დაგეგმვა;
გ) მომსახურების სტანდარტების დაცვის უზრუნველყოფა;
დ) მომსახურების პროცესში წარმოქმნილი პრობლემების/ხარვეზების დროული გამოვლენისა და აღმოფხვრის უზრუნველყოფა;
ე) უზრუნველყოს ტრენინგ-ცენტრის ფარგლებში, ბიბლიოთეკის თანამშრომლებისა და

მომხმარებლისთვის, საბიბლიოთეკო საქმისა და ტექნოლოგიების, მეცნიერების, განათლების, ახალგაზრდობის, ბიზნესის ტექნოლოგიების, ინოვაციების, ასევე სხვადასხვა საჭირო დარგობრივი ტრენინგის მაღალხარისხიანად ჩატარება, მათ შორის თსუ-ს და სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის - თანამედროვე აკადემიური წერის, ანტიპლაგიატის, სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნების პრინციპების, აკადემიური ციტირების სტილისა და აკადემიური კეთილსინდისიერების, თანამედროვე ბიბლიოთეკარის, ასევე სხვა ტრენინგების ეფექტური განხორციელება.

4. მომხმარებელთა მოზიდვისა და სერვისების განვითარების დეპარტამენტის ფუნქციები:
ა) მომხმარებლის მაქსიმალური მოზიდვა და მათთვის სასურველი სერვისების მუდმივი განვითარება;
ბ) მიზნობრივი სეგმენტების მიხედვით, მომხმარებლების საჭიროებებისა და სურვილების უწყვეტი გამოვლენა;
გ) მომხმარებლების საჭიროებებისა და სურვილების მიხედვით სერვისების მუდმივი განვითარება;
დ) ბიბლიოთეკის ბრენდის განვითარება და ცნობადობის მაქსიმალური ამაღლება.

5. გარემოსა და მომსახურების ხარისხის განვითარების დეპარტამენტის ფუნქციები:
ა) უზრუნველყოს გარემოსა და მომსახურების ხარისხის მუდმივი განვითარება, მომხმარებლებისათვის სასურველი პირობების შესაქმნელად;
ბ) გარემოსა და მომსახურების ხარისხის განვითარების საჭიროებებისა და შესაძლებლობების მუდმივი გამოვლენა და იდეების გენერაცია;
გ) გარემოსა და მომსახურების ხარისხის განვითარების პროექტების დროული დაგეგმვა, მართვა და ხარისხიანი განხორციელება;
დ) ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ეზოსა და ბიბლიოთეკის შენობა-ნაგებობების, მატერიალური ფასეულობებისა და აქტივების საექსპლუატაციო მდგომარეობის მუდმივი მონიტორინგი, ანალიზი და რეკომენდაციების შემუშავება;
ე) სამშენებლო, სარემონტო და სარეკონსტრუქციო სამუშაოების ორგანიზება და მართვა;
ვ) მიმდინარე რეჟიმში არსებული გარემოს ექსპლუატაცია და მოვლა, მათი შეუფერხებლად ფუნქციონირებისა და შენახვის უზრუნველყოფა.

6. ფინანსური რესურსების განვითარების დეპარტამენტის ფუნქციებია:
ა) უზრუნველყოს შემოსავლებისა და სხვა ტიპის რესურსების მაქსიმალური მოზიდვა;
ბ) ფინანსური და სხვა რესურსების მოზიდვის წყაროების მუდმივი გამოვლენა;
გ) დონორებისთვის პროექტების მაღალი ხარისხითა და დროულად მომზადების უზრუნველყოფა;
დ) დონორებთან და ფონდებთან გრძელვადიანი ურთიერთობის განვითარება.

## თავი IV

## მომხმარებელთა მომსახურება

### მუხლი 8. ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის მომხმარებელი

1. ეროვბულ სამეცნიერო ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლია:
ა) უნივერსიტეტის სტუდენტს, აკადემიურ და დამხმარე პერსონალს;
ბ) სხვა სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებებს;
გ) საქართველოში რეგისტრირებულ სხვა იურიდიულ პირებს;
დ) ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, როგორც საქართველოს, ასევე სხვა ქვეყნის მოქალაქეს.

2. ბიბლიოთეკით სარგებლობისათვის მომხმარებელი რეგისტრირდება, როგორც ინდივიდუალური წევრი ან კოლექტიური წევრი.

3. რეგისტრაციის შემდეგ, წევრს უფლება აქვს, გამოიყენოს საბიბლიოთეკო სტანდარტებითა და სარეგისტრაციო შეთანხმებით განსაზღვრული რესურსები და სერვისები.

4. კოლექტიურ წევრთან ურთიერთობას განსაზღვრავს სპეციალურად შემუშავებული ხელშეკრულება, რომლის პირობები გავრცელდება ამ წევრის ყველა წარმომადგენელზე.

5. არასრულწლოვანი პირი რეგისტრირდება მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ერთად.

### მუხლი 9. მომხმარებელთა რეგისტრაცია

მომხმარებელმა სარეგისტრაციოდ უნდა წარმოადგინოს:

1. უნივერსიტეტის სტუდენტმა, აკადემიურმა და დამხმარე პერსონალმა: პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;

2. ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა: პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;

3. სტუდენტმა - პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;

4. საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირებმა - პასპორტი;
5. წევრი ვალდებულია: შეატყობინოს ბიბლიოთეკას საკონტაქტო ნომრის, ელ. ფოსტის მისამართის, სახლისა და სამსახურის მისამართისა და სხვა მონაცემების შეცვლის შესახებ.

## თავი V

## ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ქონება და დაფინანსება

### მუხლი 10. ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის ქონება

1. ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა სარგებლობს/თავის საქმიანობას ახორციელებს უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში შემოსვლის მომენტში, მასზე რიცხული და უნივერისიტეტისგან დადასტურებული, კანონმდებლობით ნებადართული საქმიანობისთვის აუცილებელი უძრავ-მოძრავი ქონებით და პასუხისმგებელია ამ ქონების მოვლა-პატრონობასა და ეფექტურად (მიზნობრივად) გამოყენებაზე.

### მუხლი 11. ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დაფინანსების წყარო

1. ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:
ა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიზნობრივად გამოყოფილი თანხები;
ბ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;
გ) გრანტებით მიღებული შემოსავალი;
დ) შემოწირულობები;
ე) არაკომერციულ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით მიღებული შემოსავლები;
ვ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული დაფინანსების სხვა წყარო.

3. ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის საქმიანობით მოზიდული სახსრები გამოიყენება უნივერსიტეტისა და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის შემდგომი განვითარებისათვის ან/და პერსონალის შრომის ანაზღაურებისათვის.

თავი VI

დასკვნითი დებულებები

**მუხლი 12. ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია, დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი**

1. ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის რეორგანიზაცია, ლიკვიდაცია ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დებულებას, დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანას ამტკიცებს უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
**ადმინისტრაციის ხელმძღვანელი**

N 7083/10 13.03.2024

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს
ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის'' წესდების მე-
11 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის თანახმად, დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დებულების განახლებული ვერსიის პროექტს. დებულების ცვლილება არ იწვევს ბიბლიოთეკის ბიუჯეტის ზრდას.

ამასთან, გაცნობებთ, რომ განახლება განპირობებულია დებულების მოქმედ ვერსიაში განხორციელებული მრავალი ცვლილებით: სტრუქტურული ერთეულების დამატება,ახალი საშტატო პოზიციების გაჩენა და სხვა, რაც იწვევს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობას, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, აღნიშნული საკითხების განხილვის შემდგომ, დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურაში შეიტანოთ შესაბამისი ცვლილება.

**დანართი** 1 ფაილი

**პატივისცემით,**

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფოსტა: chancellery@tsu.ge; E-mail

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**პროექტი**

## სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის დებულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

შეტანილ იქნეს ცვლილებები სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის დებულებაში, კერძოდ:

**ა) მე-3 მუხლის მე-5 პუნქტს „ზ" ქვეპუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შიონაარსის მქონე „გ" ქვეპუნქტი:**

„გ) აქტივების მართვის, ჩამოწერის და განკარგვის განყოფილება";

**ბ) მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის „გ" ქვეპუნქტი ამოღებული იქნეს;**

**გ) მე-3 მუხლს მე-8 პუნქტის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის მქონე მე-9 პუნქტი:**

„9. აქტივების მართვის, ჩამოწერის და განკარგვის განყოფილების ძრითადი ფუნქციები და მოვალეობები:

ა) საინვენტარიზაციო კომისიების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, წინადადების მომზადება უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული (მათ შორის საკუთრებასა და სარგებლობაში არსებული) ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის შესახებ და შესაბამის კომისიისთვის დოკუმენტაციის წარდგენა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

ბ) უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული (მათ შორის საკუთრებასა და სარგებელობაში არსებული) ამორტიზებული ჩამოწერილი ქონების განკარგვის (ნივთის სახით გასხვისება, ან ჯართის სახით რეალიზება, მაკულატურა და სხვ.) ან განადგურების თაობაზე შესაბამის კომისიისთვის წინადადებების წარდგენა;

გ) უნივერსიტეტის წიგნების ფონდიდან ამორიცხული წიგნების ინდექსაციის მეთოდით გადაფასების, ჩამოწერის და განკარგვის თაობაზე შესაბამისი კომისიისთვის წინადადებების წარდგენა;

დ) საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად, არსებულ საკითხებთან დაკავშირებით, სახელმწიფო ინსტიტუტებისათვის (სამინისტროები, უწყებები, მუნიციპალიტეტები და სხვა) წინადადების წარსადგენად დოკუმენტაციის მომზადება და მათი კონტროლი;

ე) ქონების დროებით სარგებლობაში გაცემისა თუ განკარგვის/გასხვისების მიზნით შემოსული წინადადებების განხილვა, დოკუმენტაციის მომზადება და შესაბამის კომისიისთვის წინადადებების წარდგენა; ქონების დროებით სარგებლობაში გაცემის პროცედურის (მათ შორის აუქციონის ორგანიზება, სათანადო ნებართვების/თანხმობების მიღების პროცესის წარმართვა) განხორციელება, ხელშეკრულების პირობების კონტროლი;

ვ) საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში, წინადადებების მომზადება და შესაბამისად საკითხის განსახილველად წარდგენა წარმომადგენლობითი საბჭოსათვის

(სენატი), ჩამოწერის, განკარგვის და საჭიროების შემთხვევაში სხვა შესაბამის კომისიებისათვის.“

მატერიალური რესურსების მართვის
დეპარტამენტის უფროსი
იოსებ სოფრომაძე

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
არჩილ კუკულავა

პერსონალის მართვის დეპარტამენტის
უფროსი ნათელა ლაცაბიძე

საფინანსო დეპარტამენტის უფროსი
ლევან კერესელიძე

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 5559/10 28.02.2024

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი
საბჭოს სპიკერს ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ,,ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის'' წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ'' ქვეპუნქტის თანახმად, დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის დებულებაში განსახორციელებელი ცვლილებების პროექტს.

ამასთან გაცნობებთ, რომ ცვლილებები განპირობებულია მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტში ახალი სტრუქტურული ერთეულის შექმნით, რაც იწვევს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურაში ცვლილებების შეტანის აუცილებლობას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, აღნიშნული საკითხების განხილვის შემდგომ, დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურაში შეიტანოთ შესაბამისი ცვლილება.

წარმოდგენილი საკითხი იწვევს უნივერსიტეტის ბიუჯეტის ზრდას თვეში 700 ლარის, ხოლო წლიურად - 8400 ლარის ოდენობით.

დანართი: 2 ფურცელი

პატივისცემით,

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფოსტა: chancellery@tsu.ge; E-mail

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ 29/2024 22 თებერვალი 2024 წ.

### სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 57-ე მუხლის, 61-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-6 და მე-7 ნაწილების, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის" მე-11 მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „პ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე, ამავე მუხლის პირველი პუნქტის „წ" ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საუნივერსიტეტო პოლიტიკის სრულფასოვანი რეალიზებისა და უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების პროცესზე ზედამხედველობის მიზნით შექმნილი რექტორის საბჭოს 2024 წლის 19 თებერვლის გადაწყვეტილებისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 22 თებერვლის №4 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს:

ა) სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესი და პირობები (დანართი №1);

ბ) შეთანხმება აფილირების შესახებ (დანართი №2).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული

პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №113/2018 დადგენილება.

3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
4. აკადემიური საბჭოს მიერ დამატებით განხილული იქნას აფილირებული აკადემიური პერსონალის მიერ სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში საგანმანათლებლო-სალექციო (მხოლოდ სალექციო, სასემინარო, პრაქტიკული, ლაბორატორიული) საქმიანობის განხორციელების შეზღუდვის შესაძლებლობის საკითხი.
5. დადგენილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს უნივერსიტეტის პერსონალის მართვის დეპარტამენტსა და ფაკულტეტების დეკანებს.
6. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
7. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).
8. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აკადემიკოსი ჯაბა სამუშია
რექტორი, პროფესორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

დანართი №1

## სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესი და პირობები

### მუხლი 1. აფილირების წესისა და პირობების მიზანი

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“ ან ,,თსუ“) აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესისა და პირობების (შემდგომში - „წესი“), ასევე ამ წესის მიღების სახით უნივერსიტეტის მიზანია:

ა) უნივერსიტეტის შიდასამართლებრივი აქტებისა და ამ აქტებით რეგულირებული სამართლებრივი ურთიერთობების საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა;

ბ) უნივერსიტეტსა და უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს შორის ისეთი ურთიერთსასარგებლო შრომითსამართლებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბება, რომელიც ერთის მხრივ აკადემიურ პერსონალს მისცემს საშუალებას თავისი საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობა (ასევე შრომითი ხელშეკრულებითა და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა სახის საქმიანობა, რომელიც გამომდინარეობს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ფუნქციის შესრულებიდან) აწარმოოს უნივერსიტეტის სახელით და მეორეს მხრივ უნივერსიტეტს მისცემს საშუალებას მაქსიმალურად და შესაძლებლობის ფარგლებში შეუზღუდავად შეუწყოს ხელი აკადემიურ პერსონალს თავისი შესაძლებლობების უნივერსიტეტში სრული რეალიზებისათვის.

### მუხლი 2. აფილირება

1. უნივერსიტეტთან აკადემიური პერსონალის აფილირება გულისხმობს უნივერსიტეტსა და უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე პირს (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) შორის წერილობითი შეთანხმების გაფორმებას, რომლის თანახმადაც აკადემიური თანამდებობის პირი ადასტურებს თავის აფილირებას მხოლოდ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში და უნივერსიტეტში:

ა) ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო/შემოქმედებით /საშემსრულებლო საქმიანობას და მისი კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი /საშემსრულებლო საქმიანობის შედეგები ეთვლება მხოლოდ თსუ-ს. როგორც უნივერსიტეტში, ასევე თსუ-სა და სხვა დაწესებულების კონსოლიდირებულ რესურსებზე დაფუძნებული კვლევით/სამეცნიერო/შემოქმედებით/საშემსრულებლო საქმიანობის შედეგების ჩათვლა/განაწილებისას, თსუ-ის აფილირებული პერსონალი ვალდებულია ზემოაღნიშნული გზით მიღებული პროდუქტის ავტორად/თანაავტორად ფიგურირებდეს მხოლოდ როგორც თსუ-ის აფილირებული პერონალი შესაბამისი წერილობითი მითითებით -

„სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/ LEPL - Ivane Javakhishvili Tbilisi State University", იმ სახით რა სახითა და ფორმითაც აღნიშნული შესაძლებელია კონკრეტული პროდუქტის შემთხვევაში (მაგ.: სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნების დროს თსუ-ის პერსონალი ავტორად მითითებისას აფილირებაში აუცილებლად უთითებს მხოლოდ „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/ LEPL - Ivane Javakhishvili Tbilisi State University" და სხვ.);

ბ) აქტიურად არის ჩართული თსუ-ში საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო/ შემოქმედებით/საშემსრულებლო და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;

გ) აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისათვის კონსულტაციების გაწევისა და კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის ხელმძღვანელობის პროცესებში.

**მუხლი 3. აფილირებული აკადემიური პერსონალი**

1. უნივერსიტეტს ჰყავს მხოლოდ აფილირებული აკადემიური პერსონალი, რომელიც შესაბამის აკადემიურ თანამდებობაზე კანონმდებლობით დადგენილი წესით გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობით ადასტურებს მზაობას გახდეს უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური პერსონალი მისი აღნიშნულ კონკურსში გამარჯვებისა და აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში, ხოლო ხსენებულ თანამდებობაზე არჩევისთანავე, შრომითსამართლებრივი ურთიერთობების გაფორმებისას, წინამდებარე წესით დადგენილი პირობების თანახმად, უნივერსიტეტთან წერილობით გააფორმებს აფილირების შეთანხმებას (დანართი №2). აღნიშნული მიზნით უნივერსიტეტი უზრუნველყოფს აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული ყოველი ცალკეული კონკურსის პირობებში ამ პუნქტით განსაზღვრული, ზემოხსენებული პირობების მითითებას.

2. აფილირებული აკადემიური პერსონალი ვალდებულია, გარდა მასთან გაფორმებული შრომითსამართლებრივი ურთიერთობების მარეგულირებელი აქტებისა (შრომითი ხელშეკრულება, შეთანხმება და სხვ.) და უნივერსიტეტში მოქმედი შრომითსამართლებრივი აქტებით მისთვის განსაზღვრული შრომის პირობებისა, დაიცვას წინამდებარე წესის მოთხოვნები, რომელიც მისი შრომითი ხელშეკრულების შემადგენელი (განუყოფელი) ნაწილია.

3. პირი, რომელსაც სურს დაიკავოს უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობა ვალდებულია გაეცნოს წინამდებარე წესის მოთხოვნებს და აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით (უნივერსიტეტის სხვა შესაბამის პირობებთან ერთად) წერილობით გამოხატოს თანხმობა მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან აფილირების შესახებ, რაც ძალაში შედის მის მიერ შესაბამისი აკადემიური თანამდებობის დაკავებისთანავე და წერილობით დაადასტუროს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ არ გააჩნია ძალაში მყოფი ანალოგიური ხასიათის დოკუმენტი (ხელშეკრულება, შეთანხმება ან სხვ.) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი ვალდებულია ხელმისაწვდომი გახადოს წინამდებარე წესი საჯარო გაცნობისათვის და აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველს გააცნოს მისი შინაარსი, ასევე უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაამოწმოს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია.

5. აფილირებული აკადემიური პერსონალი გამონაკლის შემთხვევაში უფლებამოსილია, უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის დეკანისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის წერილობითი ცნობებით (რომელშიც მითითებული უნდა იყოს შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება, ჩასატარებელი საათების რაოდენობა, საქმიანობის პერიოდი), განახორციელოს საგანმანათლებლო- სალექციო (მხოლოდ სალექციო, სასემინარო, პრაქტიკული, ლაბორატორიული) საქმიანობა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. იურიდიული, ეკონომიკისა და ბიზნესის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტების „ა“ კატეგორიის პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორისა და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტების „ა“ და „ბ" კატეგორიის პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორისათვის ამ პუნქტით დადგენილი უფლებამოსილების პირობები განისაზღვრება ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

დანართი №2

**შეთანხმება აფილირების შესახებ**

ქ. თბილისი „------“ ----------- 20-- წელი

ერთი მხრივ, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. №1), წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის - -------------- ---------------------- სახით („დამსაქმებელი“), მეორე მხრივ, მოქალაქე ------------ ---- ---------------------- (,,დასაქმებული") შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. დასაქმებული ---------------------- ფაკულტეტის ----------------------- აკადემიური პერსონალი (პროფესორი/ასოცირებული პროფესორი/ასისტენტ-პროფესორი/ასისტენტი)----- --------------- ----------------------- უნივერსიტეტსა და მას შორის გაფორმებული ------------- ----------------- შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადით, 20-- წლის ---------------- დან 20 -- ------------ მდე, აფილირებულია მხოლოდ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, თსუ-ს სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში და თსუ-ში: ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო/შემოქმედებით/საშემსრულებლო საქმიანობას და მისი კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის შედეგები ეთვლება მხოლოდ თსუ-ს; აქტიურად არის ჩართული თსუ-ში საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო/შემოქმედებით/საშემსრულებლო და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში; აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისათვის კონსულტაციების გაწევისა და კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის ხელმძღვანელობის პროცესებში.

2. პასუხისმგებლობა თსუ აკადემიური საბჭოს **2024 წლის 22 თებერვლის №29/2024 დადგენილებით** - "სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესი და პირობები" - განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობაზე ეკისრება შესაბამის აკადემიურ პერსონალს.

3. აფილირებული აკადემიური პერსონალის (პროფესორის/ასოცირებული პროფესორის/ასისტენტ-პროფესორის/ასისტენტის) ---------------------- აფილირების ვადის გასვლის შემდგომ აფილირების პერიოდში შექმნილი კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროდუქცია რჩება მხოლოდ თსუ-ის სახელით გამოცემულის/შესრულებულის სტატუსის მქონედ.

4. შეთანხმება ძალაშია ---------------------------------დან -------------------------------------მდე.

**,,დამსაქმებელი"** **,,დასაქმებული"**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის გვარი, სახელი ------------------------------------

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ხელმოწერა -------------------------------------

-----------------------------------

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

LEPL - IVANE JAVAKHISHVILI
TBILISI STATE UNIVERSITY
ACADEMIC COUNCIL

N 7133/10
14.03.2024

7133-10-3-202403141223

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს

**წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე, ამავე მუხლის პირველი პუნქტის ,,წ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2024 წლის 22 თებერვლის №29/2024 დადგენილებას.

დანართი: 6 გვერდი

ჯაბა სამუშია

რექტორი, აკადემიკოსი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ: +(995 32) 225 04 84 Tel.
ელ-ფოსტა: academic.council@tsu.ge E-mail.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

# 2023 წლის ანგარიში

მომზადებულია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, რომლის მიხედვით, აკადემიური საბჭო წლიურ ანგარიშს წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

**შესავალი**

2023 წლის განმავლობაში ჩატარდა აკადემიური საბჭოს 18 სხდომა, 4 წარმომადგენლობითი და აკადემიური საბჭოების ერთობლივი სხდომა. აკადემიური საბჭოს მიერ მიღებულ იქნა 123 დადგენილება, ხოლო წარმომადგენლობით საბჭოს გაეგზავნა 9 წარდგინება.

2023 წელს თსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელმა პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა თანამდებობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, აკადემიურმა საბჭომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით კონკურსი გამოაცხადა. კონკურსის შედეგად შეირჩა **შოთა ფოთოლაშვილი**ს კანდიდატურა. აღნიშნულთან დაკავშირებით აკადემიურმა საბჭომ მიიღო შემდეგი დადგენილებები:

- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ“ (დადგენილება №21/2023, 27.02.2023);
- „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ“ (დადგენილება №22/2023, 27.02.2023);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე კანდიდატის შერჩევის შესახებ“ (დადგენილება №25/2023, 20.03.2023).

2023 წელს თსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად არჩევნები გამოცხადდა.

აღნიშნულთან დაკავშირებით აკადემიურმა საბჭომ მიიღო შემდეგი დადგენილებები:

- „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების, პრეტენდენტთა რეგისტრაციის დაწყებისა და მათი შერჩევის კრიტერიუმების შესახებ განცხადების ტექსტის დამტკიცების თაობაზე“ (დადგენილება №108/2023, 13.11.2023);
- ,,სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობის დასაკავებლად კანდიდატის შერჩევის მიზნით კონკურსის გამოცხადების, პრეტენდენტთა რეგისტრაციის დაწყებისა და მათი შერჩევის კრიტერიუმების შესახებ განცხადების ტექსტის დამტკიცების თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2023 წლის 13 ნოემბრის №108/2023 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ (დადგენილება №113/2023, 12.12.2023);

- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის განსაზღვრის შესახებ“ (დადგენილება №114/2023, 12.12.2023).

*შრომის ანაზღაურების ოდენობა და პირობები*

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდეგში – კანონი) 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული "საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" (შემდეგში – წესდება) მე-8 მუხლის „პ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, აკადემიური საბჭო ადგენს აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების წესს, შრომის ანაზღაურების ოდენობასა და პირობებს და დასამტკიცებლად წარუდგენს წარმომადგენლობით საბჭოს.

„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში 2023 წლის განმავლობაში ცვლილება შეტანილ იქნა 2023 წლის 10 ივლისის №67/2023 დადგენილებით.

*პროფესორთა აკადემიურ თანამდებობებზე არჩევა და კონკურსთან დაკავშირებული ღონისძიებები*

კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ც“ ქვეპუნქტისა და „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ მიიღო 34 დადგენილება <u>პროფესორთა აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის, გათავისუფლების, ასევე კონკურსთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების გატარების თაობაზე:</u>

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №2/2023, 23.01.2023);
– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის

შესახებ” აკადემიური საბჭოს 2021 წლის 9 სექტემბრის №72/2021 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (დადგენილება №3/2023, 23.01.2023);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №5/2023, 09.02.2023);

– “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე პროფესორების, ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ” აკადემიური საბჭოს 2017 წლის 8 დეკემბრის №143/2017 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (დადგენილება №23/2023, 27.02.2023);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №34/2023, 10.04.2023);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №36/2023, 10.04.2023);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №37/2023, 10.04.2023);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე პროფესორის, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ” აკადემიური საბჭოს 2021 წლის 9 სექტემბრის №74/2021 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (დადგენილება №38/2023, 10.04.2023);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორების სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ“ რექტორის 2018 წლის პირველი მაისის №99/01-01 ბრძანებით ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე მათემატიკის დეპარტამენტისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის რიცხვითი ანალიზის და გამოთვლითი ტექნოლოგიების კათედრაზე (ინტერდისციპლინური) პროფესორის სამსახურში მისაღებად გამოცხადებული კონკურსის დასრულებულად ჩათვლის შესახებ“ (დადგენილება №39/2023, 10.04.2023);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 20 მარტის №28/2023 დადგენილებით დამტკიცებული საკონკურსო კომისიისათვის შემაჯამებელი ოქმის დამტკიცებაზე უარის თქმისა და შესაბამისი მითითებით საკითხის საკონკურსო კომისიისათვის დაბრუნების შესახებ“ (დადგენილება №42/2023, 01.05.2023);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე პროფესორებისა და ასოცირებული

პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 7 სექტემბრის №193/2018 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (დადგენილება №44/2023, 01.05.2023);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №45/2023, 15.05.2023);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №46/2023, 15.05.2023);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №47/2023, 15.05.2023);

– “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 ივლისის №184/2018 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ” (დადგენილება №68/2023, 10.07.2023);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №69/2023, 24.07.2023);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ” (დადგენილება №70/2023, 24.07.2023);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე პროფესორების, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 18 ივნისის №157/2018 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (დადგენილება №80/2023, 24.07.2023);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ” (დადგენილება №81/2023, 11.09.2023);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ” (დადგენილება №84/2023, 11.09.2023);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ” (დადგენილება №85/2023, 11.09.2023);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ” (დადგენილება №86/2023, 11.09.2023);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ” (დადგენილება №87/2023, 11.09.2023);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ” (დადგენილება №88/2023, 11.09.2023);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 10 ივლისის №175/2018 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” (დადგენილება №89/2023, 11.09.2023);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ” (დადგენილება №92/2023, 02.10.2023);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 12 ივნისის №56/2023 დადგენილების მე-8 პუნქტით დამტკიცებული საკონკურსო კომისიისათვის შემაჯამებელი ოქმის დამტკიცებაზე უარის თქმისა და შესაბამისი მითითებით საკითხის საკონკურსო კომისიისათვის დაბრუნების შესახებ” (დადგენილება №97/2023, 02.10.2023);

– „ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე სრულ, ასოცირებულ და ასისტენტ-პროფესორთა აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 10 აგვისტოს №69/2012 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (დადგენილება №98/2023, 08.10.2023);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №99/2023, 30.10.2023);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №100/2023, 30.10.2023);

– “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორებისა და ასოცირებული პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ” აკადემიური საბჭოს 2018 წლის 13 დეკემბრის №236/2018 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (დადგენილება №107/2023, 30.10.2023);

– “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 9 ივლისის №63/2020 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (დადგენილება №109/2023, 30.10.2023);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შესახებ“ (დადგენილება №118/2023, 12.12.2023);

– „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიურ თანამდებობებზე არჩევის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2020 წლის 11 სექტემბრის №83/2020 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (დადგენილება №120/2023, 12.12.2023).

### *საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცება*

კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, წესდების მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „ც“ ქვეპუნქტისა და „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის №118/2014 დადგენილების საფუძველზე, მიღებულია 18 დადგენილება, რომელიც ეხება საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცებას:

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №1/2023, 23.01.2023);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ” (დადგენილება №6/2023, 09.02.2023);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორების

აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №26/2023, 20.03.2023);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №27/2023, 20.03.2023);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №28/2023, 20.03.2023);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის 23 იანვრის №1/2023 დადგენილებით დამტკიცებული საკონკურსო კომისიებისათვის შემაჯამებელი ოქმების დამტკიცებაზე უარის თქმისა და შესაბამისი მითითებით საკითხის საკონკურსო კომისიებისათვის დაბრუნების შესახებ“ (დადგენილება №31/2023, 20.03.2023);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორისა და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ” (დადგენილება №33/2023, 10.04.2023);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №51/2023, 05.06.2023);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორების, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №56/2023, 12.06.2023);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №59/2023, 10.07.2023);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების

დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №60/2023, 10.07.2023);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №65/2023, 10.07.2023);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №66/2023, 10.07.2023);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №71/2023, 24.07.2023);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე პროფესორის, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №117/2023, 12.12.2023);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ” (დადგენილება №121/2023, 25.12.2023);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე ასოცირებული პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №122/2023, 25.12.2023);

– „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორების, ასოცირებული პროფესორებისა და ასისტენტ-პროფესორების აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2023 წლის 12 ივნისის №56/2023 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (დადგენილება №123/2023, 25.12.2023).

### *სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულთა დირექტორების არჩევა და კონკურსთან დაკავშირებული ღონისძიებები*

2023 წელს თსუ-ს დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულთა დირექტორების არჩევნები გამოცხადდა. აღნიშნულთან დაკავშირებით, კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ[1]“ ქვეპუნქტისა და წესდების მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „თ[1]" ქვეპუნქტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ მიიღო შემდეგი დადგენილებები:

- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - რაფიელ აგლაძის სახელობის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტის დირექტორის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №8/2023, 09.02.2023);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №9/2023, 09.02.2023);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №10/2023, 09.02.2023);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №11/2023, 09.02.2023);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №12/2023, 09.02.2023);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - პეტრე მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტის დირექტორის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №13/2023, 09.02.2023);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №29/2023, 20.03.2023);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ნოდარ ამაღლობელის სახელობის

მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №48/2023, 15.05.2023);

- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №52/2023, 05.06.2023);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №53/2023, 05.06.2023);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №61/2023, 10.07.2023);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის დირექტორის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №62/2023, 10.07.2023);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №63/2023, 10.07.2023);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - თინათინ წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №64/2023, 10.07.2023);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნის შესახებ“ (დადგენილება №74/2023, 24.07.2023);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №101/2023, 30.10.2023).

**სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევით ერთეულთა დირექტორების თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსებში 65 წლის ან მეტი ასაკის პირთა მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილება მიღებულ იქნა შემდეგი დადგენილებებით:**

- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ნოდარ ამაღლობელის სახელობის მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში 65 წლის ან მეტი ასაკის პირთა მონაწილეობის შესახებ“ (დადგენილება №30/2023, 20.03.2023);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში 65 წლის ან მეტი ასაკის პირთა მონაწილეობის შესახებ“ (დადგენილება №35/2023, 10.04.2023);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში 65 წლის ან მეტი ასაკის პირთა მონაწილეობის შესახებ“ (დადგენილება №41/2023, 1.05.2023);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ალექსანდრე თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის კავკასიის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში 65 წლის ან მეტი ასაკის პირთა მონაწილეობის შესახებ“ (დადგენილება №54/2023, 5.06.2023);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - მიხეილ ნოდიას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში 65 წლის ან მეტი ასაკის პირთა მონაწილეობის შესახებ“ (დადგენილება №55/2023, 5.06.2023);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში 65 წლის ან მეტი ასაკის პირთა მონაწილეობის შესახებ“ (დადგენილება №72/2023, 24.07.2023);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის დანიშვნისათვის 65 წლიანი ასაკობრივი ზღვარის მოხსნის თაობაზე“ (დადგენილება №73/2023, 24.07.2023).

### *საპატიო დოქტორის წოდებისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლის მინიჭება*

კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, 39-ე მუხლისა და წესდების მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ და „ძ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, 2023 წელს აკადემიურმა საბჭომ მიიღო 8 დადგენილება საპატიო დოქტორის წოდებისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედლის მინიჭების შესახებ.

## თსუ–ს საპატიო დოქტორის წოდება მიენიჭა:

- **ბერნდ ჰაინრიხს** (დადგენილება №76/2023, 24.07.2023);
- **მარტინ ჰეგერს** (დადგენილება №77/2023, 24.07.2023);
- **ბერნჰარდ კემპენს** (დადგენილება №78/2023, 24.07.2023);
- **კრისტიან ფონ კოელნს** (დადგენილება №79/2023, 24.07.2023);
- **ანდრეა რიკარდო ჯენაცანის** (დადგენილება №82/2023, 11.09.2023);

## თსუ-ს ივანე ჯავახიშვილის სახელობის მედალი მიენიჭა:

- **იოსებ სალუქვაძეს** (დადგენილება №95/2023, 02.10.2023);
- **გიორგი გოგსაძეს** (დადგენილება №96/2023, 02.10.2023);
- **ნუგზარ ღლონტს** (დადგენილება №102/2023, 30.10.2023).

## სასწავლო პროცესი

კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტისა და წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ქ" და „წ" ქვეპუნქტების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ მიიღო 3 დადგენილება უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის რეგულირების სხვადასხვა საკითხზე:

- „დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2018 წლის 27 დეკემბრის №245/2018 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" (დადგენილება №43/2023, 1.05.2023);
- "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2021 წლის 29 ივლისის №64/2021 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" (დადგენილება №93/2023, 2.10.2023);
- „2023-2024 სასწავლო წლის გაზაფხულის სამესტრისათვის სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტთან პარტნიორობის ფარგლებში მოქმედი პროგრამებისათვის შიდა მობილობის განხორციელებისათვის განსხვავებული პირობების დაწესების შესახებ" (დადგენილება №115/2023, 12.12.2023).

## *ანკეტა-კითხვარი*

კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „ი" და „ი$^{1}$" ქვეპუნქტებისა და წესდების მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „ი", „კ" და „წ" ქვეპუნქტების საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ 2023 წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი დადგენილებები:

- „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2023-2024 სასწავლო წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №14/2023, 09.02.2023);
- “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2023 სასწავლო წლის ბაკალავრიატის, მედიცინის/სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი, ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2022 წლის 12 დეკემბრის №113/2022 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (დადგენილება №15/2023, 09.02.2023);
- “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2023-2024 სასწავლო წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2023 წლის 9 თებერვლის №14/2023 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (დადგენილება №17/2023, 17.02.2023);
- “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2023-2024 სასწავლო წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2023 წლის 9 თებერვლის №14/2023 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” (დადგენილება №57/2023, 12.06.2023);
- “სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2023-2024 სასწავლო წლის საერთო სამაგისტრო გამოცდების ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2023 წლის 9 თებერვლის №14/2023 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (დადგენილება №83/2023, 11.09.2023);
- „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე 2023 წელს აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით სპეციალური ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №94/2023, 02.10.2023);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 2024 სასწავლო წლის ბაკალავრიატის, მედიცინის/სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი, ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამების ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ“ (დადგენილება №116/2023, 12.12.2023).

## *საგანმანათლებლო პროგრამები*

2023 წელს მოხდა როგორც პროგრამების რეაკრედიტირება, ისე ცვლილებები შევიდა არსებულ პროგრამებში, ამასთანავე, შეიქმნა ახალი საგანმანათლებლო პროგრამები. კანონის 21–ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ „საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ 2011 წლის 29 ივნისის №57/2011 დადგენილებაში ცვლილებები შეიტანა შემდეგი დადგენილებებით: №4/2023, №16/2023, №20/2023,

№24/2023, №40/2023, №49/2023, №58/2023, №75/2023, №90/2023, №91/2023, №105/2023, №106/2023, №110/2023, №111/2023, №112/2023.

### *სხვა სახის დადგენილებები*

აკადემიურმა საბჭომ კანონის 21-ე მუხლითა და წესდების მე-8 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ასევე მიიღო შემდეგი დადგენილებები:

- “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჯილდოს - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საიუბილეო საკოლექციო ვერცხლის მონეტის - დაწესებისა და დაჯილდოების პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ” აკადემიური საბჭოს 2022 წლის 14 სექტემბრის №80/2022 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” (დადგენილება №7/2023, 9.02.2023);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №95/2016 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე” (დადგენილება №18/2023, 17.02.2023);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ილია ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტისათვის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სტატუსის მინიჭების (შექმნის) და დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 2 სექტემბრის №96/2016 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე” (დადგენილება №19/2023, 17.02.2023);
- “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობის დამტკიცების შესახებ” (დადგენილება №32/2023, 10.04.2023);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე 65 წლის ან მეტი ასაკის პირის არჩევის და თანამდებობიდან გათავისუფლების, ემერიტუსის აკადემიური წოდების მინიჭების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2012 წლის 28 მაისის №36/2012 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ (დადგენილება №50/2023, 15.05.2023);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - “თსუ-ის ქალთა საზოგადოების (ცენტრი)” შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ (დადგენილება №103/2023, 30.10.2023);
- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - „ტოლერანტობის საერთაშორისო საგანმანათლებლო-

კვლევითი ცენტრის“ შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ (დადგენილება №104/2023, 30.10.2023);

- „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულის - ბავშვის უფლებების დაცვის ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ (დადგენილება №119/2023, 12.12.2023).

N 7283/10
15.03.2024

7283-10-3-202403150955

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს

**წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჟ" ქვეპუნქტის საფუძველზე წარმოგიდგენთ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2023 წლის ანგარიშს.

დანართი: 16 გვერდი

ჯაბა სამუშია

რექტორი, აკადემიკოსი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დანართი 1.

,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებ“-ში ( დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს 2020 წლის 25 დეკემბრის N4 სხდომის ოქმით) შევიდეს შემდეგი ცვლილება:

1. მე-5 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-12 პუნქტი:

,,12. ამ მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული შეზღუდვა არ ვრცელდება ამავე პუნქტით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელ იმ პერსონალზე (მათ შორის აკადემიური პერსონალი), რომელიც ჩართულია სწავლების კურაციული მოდელით მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში".

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
RECTOR

N 6988/10 13.03.2024

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობით საბჭოს

მოგეხსენებათ, რომ ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებ"-ში 2023 წლის 9 ივნისს შევიდა გარკვეული ცვლილებები, რომელიც დამტკიცდა წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2023 წლის 09 ივნისს (ოქმი N5, 2023 წლის 09 ივნისი).
ერთ-ერთი ცვლილება შეეხო შინაგანაწესის მე-5 მუხლს, რომელსაც დაემატა შემდეგი შინაარსის მე-10 და მე-11 პუნქტები:

,,10. უნივერსიტეტის პერსონალს მისთვის განსაზღვრული სამუშაო საათების განმავლობაში უფლება არ აქვს განახორციელოს შეთავსებითი შრომითი საქმიანობა, როგორც უნივერისტეტის ფარგლებს გარეთ, ისე უნივერსიტეტის ფარგლებში, გარდა წინამდებარე შინაგანაწესით განსაზღვრული შემთხვევებისა.

11. თსუ-ის იმ პერსონალს, ვისი სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო (ხანგრძლივობა) განისაზღვრება $09^{00}$ საათიდან $18^{00}$ საათამდე (ყოველი სამუშაო კვირის პარასკევ დღეს ან საქართველოს ორგანული კანონი - საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული უქმე დღეების წინა სამუშაო დღეს - $09^{00}$ საათიდან $17^{00}$ საათამდე), უფლება ეძლევათ განახორციელონ უნივერსიტეტის ფარგლებში მხოლოდ სამეცნიერო-კვლევითი (რაც ითვალისწინებს შეთავსებით, სამეცნიერო-კვლევითი ფუნქციების მქონე თანამდებობის დაკავებას შესაბამისი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე) და საგანმანათლებლო საქმიანობა (რაც გულისხმობს შეთავსებით თსუ-ის პროფესიულ, ქართულ ენაში მომზადების, უწყვეტი განათლების ცენტრის სასერთიფიკატო კურსების, საბაკალავრო, სამაგისტრო, ერთსაფეხურიან და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართულობას, მათ შორის აკადემიური პერსონალის სტატუსით) შესაბამისი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე, კვირაში არაუმეტეს 8 და სამუშაო დღის განმავლობაში არაუმეტეს 4 საათისა, რაც განისაზღვრება შესაბამის პერსონალთან გაფორმებული სათანადო შორმითი ხელშეკრულების საფუძველზე."

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1. Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 02 41 Tel/Fax
ელ-ფოსტა: rector@tsu.ge; E-mail

როგორც მოგეხსენებათ, რომ მედიცინის ფაკულტეტზე სწავლება მიმდინარეობს კურაციული მოდელით, რაც დაკავშირებულია პერსონალის საათობრივი დატვირთვის არათანაბარ გადანაწილებასთან. სწავლების როგორც ქართულენოვანი, ასევე ინგლისურენოვანი სექტორი, ფაკულტეტის დეკანის განმარტებით, განიცდის პროფესიონალი ადამიანური რესურსის მწვავე დეფიციტს, რის გამოც საგანამათლებლო პროგრამების განხორციელების პროცესში, კვალიფიკაციის გათვალისწინებით, აქტიურად არის ჩართული ადმინისტრაციულ-დამხმარე პერსონალი. შინაგანაწესის მე-5 მუხლის მე-11 პუნქტით გავალისწინებული შეზღუდვა აფერხებს ფაკულტეტზე როგორც ქართულენოვანი, ასევე ინგლისურენოვანი პროგრამების განხორციელებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად ჩაითვალა შინაგანაწესის მე-5 მუხლის მე-11 პუნქტით გათვალისწინებული შეზღუდვა არ გავრცელდეს სწავლების კურაციული მოდელით მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართულ პერსონალზე (მათ შორის აკადემიური პერსონალი), რისთვისაც საჭირო გახდა შინაგანაწესის მე-5 მუხლისათვის შემდეგი შინაარსის მე-12 პუნქტის დამატება: **,,12. ამ მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული შეზღუდვა არ ვრცელდება ამავე პუნქტით გათვალისწინებულ საგანმანათლებლო საქმიანობის განმახორციელებელ იმ პერსონალზე (მათ შორის აკადემიური პერსონალი), რომელიც ჩართულია სწავლების კურაციული მოდელით მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში".**

შინაგანაწესში შესატანი ცვლილების პროექტი გაეგზავნა თსუ-ის ყველა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს (დოკ.N5281/10, 26.02.2024) და ეთხოვა მისი გასაცნობად გადაგზავნა პერსონალისათვის.

თსუ-ის ყველა სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელისაგან ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სახელზე შემოვიდა წერილობითი შეტყობინება იმის თაობაზე, რომ „შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებ“-ში შესატანი ცვლილებები გასაცნობად გადაეგზავნა როგორც საშტატო, ასევე შტატგარეშე ყველა კატეგორიის პერსონალს.

დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ „ სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შინაგანაწესი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმებ“-ში შესატან ცვლილებებს (დანართი 1).

პატივისცემით,

ჯაბა სამუშია

რექტორი, აკადემიკოსი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს

ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
რექტორს ბატონ ჯაბა სამუშიას

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერის) მ.შ.
ბატონ ლაშა საღინაძეს

**მოხსენებითი ბარათი**

გიგზავნით, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 11 იანვრის #2/02-01 ბრძანების თანახმად შექმნილ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვასთან დაკავშირებით დასკვნის (რეკომენდაციის) მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის რეკომენდაციას ოქმის სახით;

პატივისცემით,

ზურაბ გაიპარაშვილი

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების განკარგვასთან დაკავშირებით დასკვნის (რეკომენდაციის) მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი:

**სხდომას ესწრებოდნენ:**

ა) ინგა სანიკიძე - წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ბ) ზურაბ გაიპარაშვილი - წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

გ) ნიკოლოზ ჯავახიშვილი - წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

დ)ალექსანდრე ბოშიშვილი - ჰუმანიტარულმეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ - პროფესორი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ე) დავით ნებიერიძე - წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სტუდენტი, სამუშაო ჯგუფის წევრი;

ვ) კახა კუჭუხიძე - წარმომადგენლობითი საბჭოს წევრი, სოციალურ და პოლიტიკურმეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი, სამუშაო ჯგუფის წევრი.

ზ)სამუშაო ჯგუფს მოწვეული წევრების სტატუსით ესწრებოდნენ: ლაშა საღინაძე - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი და გიორგი შამათავა - ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე;

**დღის წესრიგი:**

1. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის არჩევა
2. სამუშაო ჯგუფის მდივნის არჩევა
3. ქ. თბილისში ქეთევან დედოფლის გამზირზე მდებარე უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი 01.17.13.042.014)განკარგვის საკითხის შესწავლა;

სამუშაო ჯგუფის სხდომის დღის წესრიგი დამტიცდა ერთხმად;

საკითხი 1: სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარის პოზიაზე დასახელებულ იქნა ზურაბ გაიპარაშვილის კანდიდატურა, გაიმართა კენჭისყრა:

**კენჭისყრის შედეგები:**

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად

საკითხი 2: სამუშაო ჯგუფის მდივნის პოზიაზე დასახელებულ იქნა კახა კუჭუხიძის კანდიდატურა, გაიმართა კენჭისყრა:

**კენჭისყრის შედეგები:**

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად

საკითხი 3. სამუშაო ჯგუფს მოწვეულმა წევრმა ლაშა საღინაძემ გააცნო არსებული ვითარება, ასევე განიხილა ლ. სამხარაულის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა უნივერსიტეტის მე7 სასწავლო კორპუსთან დაკავშირებით (ავარიულობის თაობაზე), სამუშაო ჯგუფს გააცნო შენობა ნაგებობის სხვა დამატებითი დეტალები (მიწის, ფართობი, შენობის ფართობი და სხვა). ამასთან სამუშაო ჯგუფს მიაწოდა ინფორმაცია და მოსაზრება 2023 წლის 27 აპრილის #96/02-01 ბრძანების თანახმად შექმნილი კომისიის რეკომენდაცია, უნივერსიტეტის ქუჩაზე, უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ (საკადასტრო კოდი: 01.14.06.006.116) მიწის ნაკვეთზე (დაახლოებით 32 ათასი კვადრატული მეტრი) სასწავლო დანიშნულის შენობის, სტუდენტური საერთო საცხოვრებლის და სარეკრეაციო-სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობის შესაძლებლობებთან დაკავშირებით.



სამუშაო ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს საკითხთან დაკავშირებით და წევრების მხრიდან გამოითქვა გარკვეული მოსაზრებები, კერძოდ:

**ზურაბ გაიპარაშვილი** - ყველა ვაცნობიერებთ, რომ ამ გადაწყვეტილების მიღება (ავლაბრის კორპუსისა და ტერიტორიის გასხვისება) გვიწევს იმის გამო, რომ, სამწუხაროდ, უნივერსიტეტი ვერ ახერხებს მის წინაშე მდგარი რამდენიმე პრობლემის, უპირველესად კი იმ ახალგაზრდების შესაფერისი სასწავლო გარემოთი უზრუნველყოფას, რომლებიც ავლაბრის კორპუსებში მეცადინეობდნენ. რაკი ეს შენობა ავარიულია, ხოლო მის ნაცვლად უნივერსიტეტის სახსრებით ახალი კორპუსის აშენება ან გამაგრება, შეუძლებელია, მე

ვემხრობი იმ მოსაზრებას, რომელსაც გვთავაზობს თსუ ადმინისტრაცია, კერძოდ, ავლაბრის ქონება გასხვისდეს, მხოლოდ იმ პირობით, რომ სამაგიეროდ, უნივერსიტეტის ქუჩაზე, თსუ ცენტრალური ბიბლიოთეკის შენობის წინ ტერიტორიაზე აშენდეს როგორც სასწავლო დანიშნულების კორპუსი, ასევე სტუდენტური საცხოვრებლის კორპუსი. თუ წარმომადგენლობითი საბჭო ამ აზრს მხარს დაუჭერს, უნდა ეთხოვოს თსუ ადმინისტრაციას, შეიმუშაოს ქონების გასხვისების ისეთი ფორმა, რომელსაც ექნება მყარი გარანტია, რომ თსუ ბიბლიოთეკის წინ უცილობლად და მაქსიმალურად ოპერატიულად აშენდება სტუდენტთა სასწავლო და საცხოვრებელი კორპუსები.

**ინგა სანიკიძე** - მოგეხსენებათ, რომ ქართულ ენაში მომზადების პროგრამა, ე.წ. 1-4, მიმდინარე სასწავლო წლამდე ფუნქციონირებდა თსუ მე-7 კორპუსში (ქეთევან წამებულის გამზირი 55). დასახელებულ შენობაში მრავალი კუთხით შექმნილი იყო საკმაოდ მძიმე პრობლემები, ამას კი განაპირობებდა შენობა-ნაგებობის სიძველე. ინფრასტრუქტურის გაუმართაობა თუ შენობის ავარიულობა მნიშვნელოვნად აფერხებდა სასწავლო პროცესს. ახლა კი ის შემოთავაზება, რომელიც ითვალისწინებს მე-7 კორპუსის სანაცვლო სრულიად ახალი, ინფრასტრუქტურულად გამართული, ენის სწავლებისათვის შესაბამისი ნაგებობის მშენებლობას, ვფიქრობთ, რომ მიზნით გამართლებული გადაწყვეტილება იქნება. ამასთან, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ თსუ-ს ბიბლიოთეკის მიმდებარედ, მე-7 კორპუსის სანაცვლოდ, უნდა აშენდეს სტუდენტთა საერთო საცხოვრებელი. გამომდინარე ნათქვამიდან, ვფიქრობ, რომ საკითხის დადებითად გადაწყვეტა მნიშვნელოვან დახმარებას გაუწევს სასწავლო პროცესის ხარისხიანად წარმართვასა და სამომავლო შემლებს თსუ-ს სტუდენტების უზრუნველყოფას საცხოვრებელი ადგილებით.

**ნიკოლოზ ჯავახიშვილი** - გამომდინარე იქიდან, თუ რა ვითარებაში იმყოფება ამჟამად თსუ-ს მეშვიდე კორპუსი, მიზანშეწონილია განხორციელდეს მისი გასხვისება და გასხვისების შედეგად მიღებული სახსრებით უნივერსიტეტის ქუჩაზე, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წინ არსებულ ტერიტორიაზე განხორციელდეს სასწავლო კორპუსის, საერთო საცხოვრებლის და სარეკრეაციო-სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა.

**ალექსანდრე ბოშიშვილი** -თსუ VII კორპუსის მდგომარეობა, როგორც სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციიდან გაირკვა, რთულია. არსებობს სპეციალისტების დასკვნაც კორპუსის სავალალო მდგომარეობის შესახებ.

კომისიაზე წარმოდგენილი ვარიანტებიდან, ჩემი, როგორც სამუშაო ჯგუფის წევრის მხარდაჭერა ექნება რეკომენდაციას, რომ თსუ მეშვიდე კორპუსის გასხვისების შედეგად მიღებული თანხით, უნივერსიტეტის კუთვნილ ტერიტორიაზე, ბიბლიოთეკის წინ, აშენდეს ორი შენობა.

რომელთაგან ერთი იქნება უნივერსიტეტის სტუდენტური საერთო საცხოვრებელი, ხოლო მეორე, სასწავლო კორპუსი.

ასევე, მნიშვნელოვანია განისაზღვროს დანარჩენი ტერიტორიის, სასწავლო და სტუდენტური გარემოს შესაბამისი, ინფრასტრუქტურით მოწყობაც.

გარკვეული ნაბიჯები გადადგმულია, თუმცა უნივერსიტეტში სტუდენტური საცხოვრებლის საკითხი მწვავედ დგას. ამიტომ, მნიშვნელოვანი იქნება ამ საკითხის გადაჭრა.

აუცილებელია აშენდეს VII კორპუსის შესაბამისი ფართის კორპუსი. ასევე, რამდენიმე კორპუსის ავარიულობიდან გამომდინარე, დგას სასწავლო სივრცეების განვითარების აუცილებლობაც.

ბიბლიოთეკის წინ აშენებული ორი ახალი ნაგებობა (სტუდენტური საერთო საცხოვრებელი და სასწავლო კორპუსი) და მათ ირგვლივ განვითარებული სტუდენტური ინფრასტრუქტურა წინ გადადგმული ნაბიჯი იქნება სასწავლო გარემოსთვის და სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისთვის.

ალბათ, საუკეთესო ვარიანტი იქნება, თუ მოხერხდება და კომპანია, რომელიც შეიძენს თსუ VII კორპუსს, მანვე აიღოს ვალდებულება უნივერსიტეტისთვის შესაბამისი კორპუსების დაპროექტებასა და აშენებაზე. ეს ყველაფერი, ნებართვებთან და მშენებლობასთან დაკავშირებულ სხვა სირთულეებსაც აარიდებს თსუ-ს და დროსაც დაზოგავს.

**კახა კუჭუხიძე** - მეც ვიზიარებ არსებულ რეალობას უნივერსიტეტის მეშვიდე კორპუსის მდგომარეობასთან დაკავშირებით, და ვაცხადებ თანხმობას ამ კონკრეტული ობიექტის გასხვისებასთან დაკავშირებით, რა თქმა უნდა თუ შემოსული თანხებით უზრუნველყოფილი იქნება უნივერსიტეტის ქუჩაზე, თსუ-ს ბიბლიოთეკის მიმდებარე ტერიტორიაზე ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობა, ამასთანავე საცხოვრებელი პირობების მაღალი სტანდარტით უზრუნველყოფილი სტუდენტური საერთო საცხოვრებელი და ამავე ტერიტორიაზე ასევე მოეწყობა სპორტული ინფრასტრუქტურა (დიდი საფეხბურთო სტადიონი, საკალათბურთო დარბაზი).

საბოლოოდ სამუშაო ჯგუფის წევრები შეთანხმდნენ, რომ არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით, უნივერსიტეტის მიერ მიზანშეწონილია განხორციელდეს, ქ. თბილისში ქეთევან დედოფლის გამზირზე მდებარე უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის და მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი 01.17.13.042.014) პრივატიზება შემდეგი პირობათა დაცვით:

1. უნივერსიტეტის ქუჩაზე, უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ (საკადასტრო კოდი: 01.14.06.006.116) მიწის ნაკვეთზე (უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წინ, ოქმში წარმოდგენილი ნახაზით განსაზღვრულ ტერიტორიაზე) აშენდეს შესაბამისი ფართის სასწავლო დანიშნულების შენობა-ნაგებობა, რომელიც მოემსახურება, როგორც 1+4 პროგრამის სტუდენტებს, ასევე საუნივერსიტეტო (სასწავლო დანიშნულების) სხვა საჭიროებებსაც;
2. უნივერსიტეტის ქუჩაზე, უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ (საკადასტრო კოდი: 01.14.06.006.116) მიწის ნაკვეთზე (უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წინ, ოქმში წარმოდგენილი ნახაზით განსაზღვრულ ტერიტორიაზე) აშენდეს სტუდენტური საერთო საცხოვრებელი, რომელიც დააკმაყოფილებს ყველა შესაბამის სტანდარტს;
3. უნივერსიტეტის ქუჩაზე, უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ (საკადასტრო კოდი: 01.14.06.006.116) მიწის ნაკვეთის (უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის წინ, ოქმში

წარმოდგენილი ნახაზით განსაზღვრულ ტერიტორიაზე) ტერიტორიაზე მოეწყოს სარეკრეაციო-სპორტული დანიშნულების ინფრასტრუქტურა (სარეკრეაციო სივრცე სტადიონი/სპორტული დარბაზი);

საბოლოო პოზიციაზე გაიმართა კენჭისყრა;

**კენჭისყრის შედეგები:**

გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად.

კომისიის თავმჯდომარე: ზურაბ გაიპარაშვილი

კომისიის მდივანი: კახა კუჭუხიძე